# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 23 აპრილი 2007 №89 (3012) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსთავი: თავი და თავი ისაა, თავი ბურთს ჰკრა და... არა მსაჯს!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 50:6 | 52 |
| დინამო | 21 | 16 | 1 | 4 | 44:17 | 49 |
| ამერი | 21 | 14 | 4 | 3 | 42:13 | 46 |
| ზესტაფონი | 21 | 13 | 7 | 1 | 42:9 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 7 | 3 | 38:23 | 40 |
| სიონი | 21 | 11 | 2 | 8 | 26:17 | 35 |
| ტორპედო | 21 | 8 | 4 | 9 | 19:23 | 28 |
| ბორჯომი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:30 | 24 |
| ბათუმი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:24 | 23 |
| ლოკომოტივი | 21 | 5 | 5 | 11 | 13:29 | 20 |
| მერანი | 21 | 4 | 7 | 10 | 15:32 | 19 |
| ჩიხურა | 21 | 4 | 6 | 11 | 12:32 | 18 |
| დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 14:53 | 9 |
| კახეთი | 21 | 0 | 1 | 20 | 17:67 | 1 |



ოლიმპი — ჩიხურა 5:0. საჩხერელ გიორგი ქუცურუას მსაჯ ლევან კვარაცხელიასთან ნამეტანი სიახლოვე ძვირად დაუჯდა

# ზედი-ზეობა

## უქმე კი არა, საქმე: ოთხი ჩემპიონი შაბათ-კვირას

იტალიაში წლის მთავარი კითხვის ნიშანი ძახილის ნიშნად იქცა — ჩემპიონი „ინტერია"! გუშინ მოხდა ის, რაც წინა ტურში, ანუ გასულ ოთხშაბათსაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ მაშინ „ინტერისა" და „რომას" „ტეტ ა ტეტ" დაპირისპირება რომაელთა გამარჯვებით დასრულდა, გუშინ კი „რომამ" ბერგამოში „ატალანტასთან" წააგო, ხოლო „ინტერმა" სიენაში მარკო მატერაცის ორი გოლით იძალა და ის, რაშიც ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა, ოფიციალურად გაფორმდა. ამრიგად, პასუხი კითხვაზე, ვინ გახდება ჩემპიონი კალჩოპოლის სკანდალს მოყოლებულ უიუვენტუსო სეზონში, როდესაც „მილანმაც" და „ლაციომაც" სხვა რამდენიმე გუნდთან ერთად შეჯიბრება მინუს ქულებით დაიწყეს, გაცემულია...

ის, რაშიც ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა, ოფიციალურად საფრანგეთშიც გაფორმდა. „ლიონი" ჩემპიონია, თანაც ზედიზედ მეექვსედ, რაც აქამდე ამ ქვეყანაში ვერავის მოეხერხებინა.

„ოლიმპიაკოსის" ჩემპიონობა გაფორმდა საბერძნეთში — მეცხრედ ბოლო ათ წელიწადში. შოტლანდიაში კი „სელტიკმა" იზეიმა მეხუთედ ბოლო შვიდ სეზონში.

ოთხი ჩემპიონი ერთ უქმეებზე — ესეც ხომ თავისებური რეკორდია.



## არავითარი ბუნდესლიგა! დავით სირაძემ პადერბორნელები დააკმაყოფილა

„კარლსრუე", „მაინცი", „ჰანზა", „ფრაიბურგი" — გერმანული პრესა ამ გუნდებს „უმზადებდა" აუელ დავით სირაძეს, თუმცა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა სხვა არჩევანი გააკეთა: „პადერბორნი".

ამ კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ცნობა, სირაძემ ჩვენთან ორწლიანი წინასწარი კონტრაქტი გააფორმაო.

საერთოდ, კლუბების ოფიციალური ვებგვერდები მსგავს ინფორმაციას არ წერენ ხოლმე და თუ წერენ, ესე იგი, ყველაფერი საბოლოოდ მოგვარებულია.

მოკლედ, ახალი სეზონიდან 26 წლის ქართველი ფეხბურთელი „პადერბორნის" მაისურას მოირგებს.

ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში ამჟამად მე-11 ადგილზეა და მიზნად არგავარდნა აქვს. არადა, ერცგებირგეს აუე-ს ფორვარდს თითქოს ბუნდესლიგური თუ ბუნდესლიგის კართან მყოფი გუნდებიც ეპატიჟებოდნენ...

„პადერბორნის" მწვრთნელი მიხაელ ბორნი კი ახალშენაძენით კმაყოფილია: „დიდი ხანია, სირაძის გადაბირება გვსურდა და კარგია, რომ ეს მოვახერხეთ".

მოსახდენი მოხდა: 1989 წლის შემდეგ „ინტერმა" თამაშით პირველად მოიგო სკუდეტო, მატერაცი კი პირველი კაცია, „სიენას" ორი ოქროს გოლი გაუტანა



AFP

# ახლოს უცხო ოქროებთან

## ლომი კარლ ცაისის კარში, რომელმაც ფრაიბურგს იმედი დაუკბინა



**ჯერ მაინც** ადრეა, თარსი არ გამოვიდესო, ვინმემ რომ არ თქვას, ამიტომაც *შოთა არველაძესა* და მის „ალკმაარს“ ჩემპიონობას ჯერ არ ვულოცავთ, არადა... ჰოლანდიის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური და დარჩა, „ალკმაარს“, „აიაქსსა“ და პსვ-ს კი თანაბარი ქულები აქვთ და პირველ ადგილზე ისააა, ვისაც გატანილ-მილებულ ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს, ანუ „ალკმაარი“. გუშინ შოთას გუნდმა შინ „ჰერენვენს“ 2:1 მოუგო, „აიაქსმა“ „სპარტას“ 5:2, ხოლო პსვ-მ „უტრეხტთან“ ორი ქულა დაკარგა. ეინდჰოვენელებმა გოლი ბოლო წუთზე მიიღეს, რაც ალბათ ჩემპიონობის ფასად დაუჯდებათ. ახლა „ალკმაარი“ „ექსელსიორს“ უნდა ესტუმროს, გუნდს, რომელიც ლიგიდან უკვე გავარდნილია. არველაძემ და მისმა გუნდმა თუ მოიგეს, ჩემპიონის ტიტულიც მათ დარჩებათ, აბა, პსვ და „აიაქსი“ თავთავიანთ მატჩებს ათბურთიანი სხვაობით, ვფიქრობთ, ვერ მოიგებენ. ჰოდა, შოთას მისალოცად ერთი კვირაც მოვითმინოთ.

ერთი არა, მაგრამ ჩემპიონობამდე ოთხი ნაბიჯი დარჩა *ლევან კობიაშვილსა* და მის „შალკეს“. ჩვენიანი უკვე მეორე მატჩია, სათადარიგოა და 20-25 წუთს თამაშობს ხოლმე. ამ უქმეებზე „შალკემ“ შინ „კოტბუსი“ დაამარცხა, ლევანმა კი ამჯერადაც თურქი ოზილი მაშინ შეცვალა, როცა მასპინძლებს თამაში გაკეთებული ჰქონდათ. სეზონის ბოლოა და, ეტყობა კობიაშვილი გადაიღალა. მან ბოლო ორ სანაკრებო მატჩშიც ვერაფრით გამოიჩინა თავი და, აგერ, შეიძლება ითქვას, „შალკეს“ ძირითადშიც დაკარგა ადგილი.

აი, ამბავი მეორე ბუნდესლიგიდან! ბუნდესლიგაში გადასასვლელად მებრძოლმა „ფრაიბურგმა“ შინ გასავარდნთა ზონაში მყოფ „კარლ ცაისთან“ 1:3 წააგო. იენელი *მიხეილ აშვეთია* და ფრაიბურგელი *ოთარ ხიზანეიშვილი* დაშავებულნი არიან და ვერ ითამაშეს. ხოლო რომლებმაც ითამაშეს... უნდა გვესიამოვნოს თუ უნდა გვეწყინოს, თავად თქვით: 0:1 იყო, როცა ფრაიბურგის ლიდერმა *ალექსანდრე იაშვილმა* პენალტი დაარტყა, კარლცაისელმა მეკარე *გიორგი ლომაიამ* კი მოიგერია. ახლა იენელებს მეორე ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი გაეზარდათ, ფრაიბურგელებს კი პირიქით, ალზევება გაუჭირდებათ. აქვე ვთქვათ, რომ „ფრაიბურგმა“ მეორე წრეში პირველი მატჩი წააგო. მეორე ბუნდესლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა „მიუნხენის“ ქართველმა *მათე ღვინიანიძემ*, რომელმაც კრისტოფ დაუმის „კიოლნს“ 1:1-ზე შეუგდო, „მიუნხენმა“ კი 3:1 მოიგო. პარასკევსვე *დავით სირაძეს* ტრავმის გამო აუე-ს შემადგენლობაში არ უთამაშია.

*კახა კალაძის* „მილანმა“ შინ „კალიარი“ 3:1 კი დაამარცხა, მაგრამ ჩვენიანი ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს, იქამდე კი კახამ პენალტი აიკიდა და მეტოქე ამითაც ახეირა. კალაძემ 86 წუთი ითამაშა და ჯენარო გატუზოს შეცვლის შემდეგ, ვიდრე გააწითლებდნენ, კაპიტნის სამკლავურიც ატარა. კალაძემ ამას წინათ „ასკოლისთან“ მატჩისას სათადარიგოობა იუკადრისა და „კალიარისთანაც“ არ იყო ის კალაძე, როგორსაც ვიცნობთო, დაწერეს ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა. კახა კი აღშფოთდა, ეს რა თქვით, სათადარიგოობა რა საწყენია, იმ დღეს მთლად კარგად ვერ ვიყავი, რაც მწვრთნელს მატჩამდეც ვუთხარიო. ისე, თუ გახსოვთ, კახამ ამასწინათ „სარბიელსაც“ უთხრა, რომ დაზიანებული აქილევსის მყესები ცოტას კიდევ აწუხებს და ყველა მატჩს მაღალ დონეზე ვერ თამაშობს. „ახლა მხოლოდ „მანჩესტერთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალზე ვფიქრობ, თუმც არც სერია A მავიწყდება. მანჩესტერამდე კი, იმედი მაქვს, ფეხის ტკივილი აღარ შემაწუხებს და ყველაფერი ჩვენთვის კარგად დამთავრდება. ახლა ის დროა, როცა „მილანისთვის“ ყველა მატჩის შედეგი უმნიშვნელოვანესია“ — უთხრა კახამ იტალიელ ჟურნალისტებს.

ინგლისიდან სათქმელი არაფერი გვაქვს. *ზურაბ ხიზანიშვილს* შოტლანდია — საქართველოს შემდეგ არ უთამაშია.

რუსეთში საინტერესო ის იყო, რომ ყაზანის „რუბინის“ ძირითად შემადგენლობაში წლეულს პირველად გამოჩნდნენ მეკარე *ნუკრი რევიშვილი* და მცველი *ლაშა სალუქვაძე* ყაზნელებმა რამენსკოეში „სატურნთან“ წააგეს, სადაც მათ *გოგიტა გოგუა* დაუხვდათ. მასპინძლებმა 1:0 მოიგეს, ხოლო სალუქვაძე 76-ე წუთზე შეცვალეს. სამარული „კრილია“ კი მოსკოვში „სპარტაკს“ სტუმრობდა. მოსაყოლი აქაც არაფერია, მასპინძლებმა 1:0 იმარჯვეს, კრილიელი *დავით მუჯირი* მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს.

და უკრაინა, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერია. ზაპოროჟიელ და დონეცკელ მეტალურგთა მატჩი 2:0 დამთავრდა. მხოლოდ მასპინძელთა კაპიტანმა *დავით ქვირკველიამ* ითამაშა და საგოლე კომბინაციაშიც მიიღო მონაწილეობა. *ირაკლი მოდებაძე* ტრავმირებულია, ხოლო *გიორგი დემეტრაძეს* დონეცკელთა ჰოლანდიელი თავკაცი კო ადრიანსე ცოცხალი თავით არ ათამაშებს. მისი გუნდი კი მატჩს მატჩზე აგებს და ერთ დროს ჩემპიონატის პრიზიორობისთვის მებრძოლი „მეტალურგი“, ემანდ, ადრიანსეს ხელში უმაღლესი ლიგიდანაც არ გავარდეს.

სათადარიგო იყო ოდესის „ჩერნომორეცის“ ჩვენიანი *ილია კანდელაკი*. მისმა გუნდმა კი „ილიჩევეცს“ 2:1 მოუგო. „ზარია“ — „არსენალის“ შეხვედრაში *ლაშა ჯაკობია* 62-ე წუთზე შეცვალეს, მასპინძელი *გიორგი ჭელიძე* სათადარიგოდ დარჩა, უმისოდ გუნდმა 2:1 მოიგო. *ლადო ბურდულის* და *ვახილ გოგიაძის* „კრივბასმა“ შინ 0:3 წააგო ხარკოვის „მეტალისტთან“, ორივე მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს. კიევის „დინამომ“ ვერც ამჯერად მოიგო და „ვორსკლას“ 1:1 ეთამაშა. ჩვენები, ცხადია, არ იყვნენ.

**კობა ინასარიძე**



# გელაშვილის სატრანსფერო ტერმინალში ჩერმინალიცაა

**ვიტელმა** ნიკა გელაშვილმა შაბათს „ბორჯომთან“ იმიტომ ვერ ითამაშა, რომ საქართველოში არ არის — ბენილუქსში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

შევიტყვეთ, რომ 21 წლის ცენტრფორვარდი ახლა ბელგიაშია და პირველი დივიზიონის, ანუ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში ეშურება მოწყობას. ყველაზე რეალურ ვარიანტად ბეერსხოტის „ჟერმინალი“ მოჩანს. „ბეერსხოტი“ საშუალო გაქანების გუნდია, ბელგიის ჩემპიონატში ახლა მე-8 ადგილზეა.

გელაშვილს თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია, მომდევნო შესარჩევში კი ასაკის გამო U21-ში თამაში აღარ მოუწევს. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში გელაშვილმა ვიტჯორჯიელთაგან ყველაზე მეტი, ათი გოლი გაიტანა.

გელაშვილით საშუასეზონო პერიოდში ხარკოვის „მეტალისტი“ დაინტერესდა. ტრანსფერი არ შედგა, თუმც მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ გელაშვილი ხარკოვში ჩავიდოდა.

თუ არჩევანზე მიდგა საქმე, გელაშვილი ალბათ ბელგიას აირჩევს. მისი ბელგიური ვოიაჟი აგენტმა რევაზ ჩელებაძემ გაახერხა.

**დავით თავართქილაძე**

# ფილიპსი მადნეულით დაინტერესდა

## გამოვა ბოლნისი-ეინდჰოვენი?

**შესაძლოა,** ბოლნისის „სიონისა“ და ჰოლანდიური პსვ-ს ბავშვთა საფეხბურთო სკოლები პარტნიორები გახდნენ. 21-ე ტურის „სიონი“ — „ტორპედოს“ მატჩისას ტრიბუნაზე პსვ-ს წარმომადგენლები — ჰოლანდიელი ბას ლინგელშტადი და იქ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი გიორგი ბურჯანაძე ისხდნენ.

როგორც გაირკვა, მათ მეგობრული ურთიერთობა აქვთ „სიონის“ აქციათა 49 პროცენტის მფლობელ გიორგი ლომთაძესთან და საქართველოშიც სწორედ მისი მოწვევით ჩამოვიდნენ, მიზანი კი ბავშვთა საფეხბურთო სკოლების შესაძლო დაახლოებაა. შესვენებისას გიორგი ბურჯანაძეს ვესაუბრეთ...

— კარგი ურთიერთობა გვაქვს კლუბის ხელმძღვანელ ბატონ გიორგი ლომთაძესთან. ეს იდეა მასთან საუბრისას დაიბადა. გვინდა, ამ ორ სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. ჯერ აქაურ სიტუაციას დავაკვირდებით, შემდეგ განვიხილავთ, როგორ და რა გზით წარიმართოს ეს ურთიერთობები. პსვ-ს მაღალი დონის საფეხბურთო სკოლა აქვს და თუ პარტნიორობა შედგა, ნიჭიერ ქართველ ბავშვებს იქ ვარჯიშის საშუალება მიეცემათ.

— ითქვა, რომ „სიონის“ კამერუნელ ლეგიონერებს — ერიკ რომეო ჩასემს და ბოიომო ფრიდოლინისაც აკვირდებით...

— არა, ეს ჩვენი მიზანი ნამდვილად არ ყოფილა, მხოლოდ ბავშვთა საფეხბურთო სკოლით ვართ დაინტერესებულნი.

— **რა შთაბეჭდილებით მიემგზავრებით?**

— მარტო შთაბეჭდილებებში არ არის საქმე. ჰოლანდიაში დეტალურად განვიხილავთ ყველაფერს და დასკვნაც ამის შემდეგ გაკეთდება.

ბას ლინგელშტადს ქართულ ფეხბურთზე ზოგადი წარმოდგენა აქვს...

— ბევრი არა, მაგრამ ქართულ ფეხბურთზე მსმენია. გამიგია თბილისის „დინამო“, ვიცი, რომ ევროპაში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. ტალანტები ყველა ქვეყანაშია. ხელშეწყობა თუ ექნებათ, ქართველ ბავშვებსაც მიეცემათ იმის შანსი, ისეთივე მომავალი ჰქონდეთ, როგორიც წარმატებულ ქართველ ფეხბურთელებს — გვითხრა ლინგელშტადმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

### II წრე. 28 ტური

**გაგრა 3:2 ამერი 2**
**რაჭა 1:0 ჩიხურა 2**
**ზესტაფონი 2 1:0 სპარტაკი**
**მესხეთი 3:0 მგლები**
**ნ. დინამოელი 2:1 ვიტ ჯორჯია 2**
**მერცხალი 2:4 გურია**
**დინამო 2 1:1 მეშაქრე**
**მაღაროელი 1:0 ოლიმპი**
**სამტრედია 1:0 მეშახტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 27 | 20 | 2 | 5 | 46:18 | 62 |
| მესხეთი | 26 | 18 | 4 | 4 | 49:14 | 58 |
| მაღაროელი | 28 | 13 | 7 | 8 | 39:27 | 46 |
| ოლიმპი (თბ) | 28 | 13 | 6 | 9 | 46:30 | 45 |
| მეშაქრე | 28 | 12 | 9 | 7 | 32:25 | 45 |
| გაგრა | 28 | 13 | 5 | 10 | 38:33 | 44 |
| ამერი 2 | 28 | 11 | 10 | 7 | 44:33 | 43 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 27 | 12 | 6 | 9 | 42:24 | 42 |
| სამტრედია | 28 | 11 | 8 | 9 | 27:33 | 41 |
| ნ. დინამოელი | 27 | 12 | 4 | 11 | 40:39 | 40 |
| მეშახტე | 27 | 10 | 5 | 12 | 38:34 | 35 |
| დინამო 2 | 28 | 9 | 8 | 11 | 46:30 | 35 |
| ზესტაფონი 2 | 27 | 8 | 10 | 9 | 25:26 | 34 |
| რაჭა | 27 | 7 | 9 | 11 | 27:40 | 30 |
| ჩიხურა 2 | 28 | 8 | 4 | 16 | 25:49 | 28 |
| სპარტაკი | 27 | 7 | 3 | 17 | 16:38 | 24 |
| გურია | 28 | 6 | 6 | 16 | 27:58 | 24 |
| მერცხალი | 27 | 2 | 4 | 21 | 18:74 | 10 |

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 21 ტური




# დუშან უჰრინს საქართველო დაეტყო
## ვინ დაარტყამს მომდევნო პენალტს?

თბილისი. 21 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 2 000 მაყურებელი

### ლოკომოტივი 0:3 დინამო

0:1 მერებაშვილი (68პ), 0:2 იაშვილი (78პ), 0:3 ოდიკაძე (87)

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, მალიჩავა, მ. ჟღენტი (სოსელია 79), სამხარაძე, გულორდავა (ჩომახიძე 70), ყენია, ვ. გოჩაშვილი (კირკიტაძე 75)
სათადარიგონი: ზუხბაია; ებრალიძე, კუპრეიშვილი, ბარბაქაძე
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი (ოდიკაძე 73), გ. მერებაშვილი, ხუციშვილი (ს. კობახიძე 66), ს. იაშვილი (სპასოევიჩი 87)
სათადარიგონი: ლორია; თომაშვილი, გ. კაშია, ლ. ნოზაძე
მწვრთნელი: დუშან უჰრინი

გაფრთხილება: სამხარაძე (30), ფოფხაძე (47), ჩომახიძე (73)

მსაჯები: გ. ბეუქლიშვილი; მ. ურუშაძე, გ. დოგრაშვილი; ზვ. ახკაროლდი

კობა ინასარიძე

**უკვე** თითქმის ექვსი თვეა, „დინამოს“ სახელოვანი ჩეხი დუშან უჰრინი ხელმძღვანელობს. ზოგადად, ის მშვიდი და გაწონასწორებული კაცია, ემოციას არ იმჩნევს. აქ ჩამოსვლამდეც ასე ვიცნობდით და არც საქართველოში იყო სხვანაირად: მატჩი ისე იწყება და მთავრდება, უჰრინს სკამიდან წამომდგარს ვერ ნახავთ, არც საჯაროდ გამოთქვამს ხოლმე პრეტენზიას...

„ლოკომოტივთან“ კი ასე აღარ იყო — ჩეხი აღელვებული ჩანდა, ერთი-ორჯერ ხმასაც აუწია, მეოთხე მსაჯის დასამშვიდებელი გახდა და არც სკამი გახსენებია. შაბათს უჰრინმა მაგრად ინერვიულა, მაგრამ საბოლოოდ მატჩი მისთვის და მისი გუნდისთვის სასიკეთოდ დამთავრდა.

დღესდღეობით „ლოკომოტივი“ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. კლუბის ხელმძღვანელობამ გავარდნის საფრთხე რომ იგრძნო, მწვრთნელიც ამიტომ შეცვალა. „დინამო“ კი, რა ახალია, ჩემპიონობის დაბრუნებას გაშმაგებული ეშურება და ახლა ფეხის ერთი დაცდენაც შესაძლოა ძვირად დაუჯდეს. ამ მატჩამდეც „დინამოს“ უეჭველ ფავორიტად მიიჩნევდნენ, უჰრინის შეგირდებისგან დამაჯერებელ მოგებას ელოდნენ. ანგარიშს რომ დახედავთ, ცხადია, თქვენც ასე იფიქრებთ, „დინამომ“ მეტოქეს შანსი არ დაუტოვაო, მაგრამ... მთლად ისეც არ ყოფილა, როგორც 0:3 იკითხება.

ცოტა სიზუსტე, ცოტა გამოცდილება, ცოტა იღბალი... მოკლედ, „ლოკომოტივს“ ცოტა დააკლდა და „დინამოს“ ალბათ მნიშვნელოვან ქულებს დაატოვებინებდა. ერთი ფაქტი: „დინამომ“ მეტოქის კარში პირველად 42-ე წუთზე დაარტყა. იქამდე კი...

მწვრთნელებს ერთმანეთისთვის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი სიახლე არ შეუთავაზებიათ. „დინამოს“ ყოჩაღი მარცხენა ჰავბეკი სანდრო კობახიძე სათადარიგოებში იყო, ხოლო „ლოკომოტივის“ ნიჭიერმა გამთამაშებელმა ლევან ყენიამ ძირითადში ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა. სწორედ ყენიასგან კი „დინამოს“ ბევრი პრობლემა შეექმნა და მისი უფრო გამოცდილი პარტნიორები უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ, ემანდ მასპინძლები დაწინაურდებოდნენ კიდეც და მერე რა მოხდებოდა, ღმერთმა იცის. ყენიას პასები ზუსტი და მწვავე იყო, თავადაც სხარტად მოძრაობდა და ერთი-ორ ეპიზოდში მცველებს წონასწორობაც დააკარგვინა. ერთხელაც მის დარტყმულს სოსო გრიშიკაშვილმა წაჰკრა ხელი და გუნდი გადაარჩინა. ბურთი კუთხურზე გადავარდა, იმ ერთს კი „დინამოს“ კართან ზედიზედ სამი კუთხურიც მოჰყვა. ეტყობა, დავალება იყო, „ლოკომოტივის“ ყველა კუთხური ახლო ძელისკენ მიდიოდა, ოღონდ მასპინძლები ამით ვერაფერს გამორჩნენ. სტუმართა გამოცდილ მცველებს უყურადღებოდ მტკაველი არ დარჩენიათ. ერთხელაც ყენიამ ჩინებული პასით გულორდავასა და გოჩაშვილს შეუქმნა საგოლეე ხელსაყრელი პოზიცია, მაგრამ ეული მეკარის წინ ერთმა მეორეს ბურთი ველარ გადააწოდა და ეს რეალური შანსიც წყალს გაჰყვა.

შესვენების შემდეგ მოედანზე თავიდან ბევრი არაფერი შეცვლილა, თუმცა 10-15 წუთში „დინამომ“ იმძალა. მასპინძლებს ძველი არაქათი აღარ შერჩენოდათ და გოლიც, გნებავთ, გოლები, დროის საქმე იყო. „ლოკომოტივი“ „დინამოს“ ტემპში ვერ აჰყვა და დავით გვარამაძის კართან ხიფათმაც იმატა. მოგვიანებით კი მოედანზე კობახიძე და პირველი პენალტიც ერთად ვნახეთ. კობახიძემ ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში დაბალზე გაგზავნა. მცველები შეცდნენ და სანდრო იაშვილიც იქვე გაჩნდა, ბურთი გაასწორა, დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ აღარ აცალეს — პენალტი, რომელიც გიორგი მერებაშვილმა ზუსტად დაარტყა.

„დინამომ“ თავისი გაიტანა და მეორე გოლამდე რამდენიმე კარგი შანსიც გაანიავა. ჩვენ კი არა შანსის, უეჭველი გოლების მოლოდინში ვიყავით, მაგრამ იაშვილმა, დავით ოდიკაძემ, დავით დილმელაშვილმა მეორე გოლის საქმე მეორე პენალტამდე გადადეს. მაშინ მცველებმა უკვე კობახიძე მოცელეს, ვინც საჯარიმოში შურდულივით შევარდა, ორი მეტოქე ჩამოიშორა და მესამემ უწესოდ შეაჩერა. იაშვილმა, შაბათამდე ზედიზედ ორი პენალტი რომ გაეცუდებინა, დარტყმა არავის დაანება, ბურთი იხელთა და გაიტანა კიდეც. ახლა საკითხავია, უჰრინი მომდევნო პენალტს ვის დაარტყმევინებს. თავად დუშან უჰრინი კი სწორედ იაშვილის ზუსტი პენალტის შემდეგ დამშვიდდა და სკამზე ჩამოჯდა. მისმა გუნდმა კი მატჩი მესამე გოლით დაამთავრა, მერებაშვილის პასი ოდიკაძემ უნაკლოდ გამოიყენა.

# თითოწუთიანი ტაიმები

თბილისი. 21 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 150 მაყურებელი

### მერანი 1:1 ბათუმი

1:0 ქორიძე (1), 1:1 დარჩიძე (46)

მერანი: გლუნჩაძე, კედელაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, აბშილავა, სარალიძე (ჯანგიძე 81), ოქრუაშვილი, ბესარაშვილი, კობერიძე (ზირაქიშვილი 57), გაგუა (ფურთუხია 68), ქემაშვილი, ქორიძე
სათადარიგონი: სეფიაშვილი; კეტაშვილი, დეისაძე, ვ. დათუნაიშვილი
მწვრთნელი: ასლან ბალაბაძე

ბათუმი: სომხიშვილი, კუჭულია, გალოგრე, უ. ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, ცანავა, ნერგაძე, დარჩიძე, კ. შალამბერიძე (მაკარიანი 90), ბეჟანიძე (ფარტენაძე 71), ვ. კვარაცხელია (კერესელიძე 80)
სათადარიგონი: ბექთაშევი, ბაციკაძე, რამიშვილი, ტულუში
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ლ. თოდრია; ვ. გუმბერიძე

ვაჟა ხუციშვილი

**პირველივე** წუთზე გოლი იშვიათი ამბავია და ამის მომსწრენი გავხდით „შევარდენზე“. თამაში ბათუმელებმა დაიწყეს და მარჯვენა ფლანგიდან შეტევა სცადეს, მაგრამ ჩაიშალა და ბურთი სტუმართა ნახევარზე ქორიძის ფეხთან აღმოჩნდა, რომელიც საჯარიმოს ხაზთან მივიდა და შორ კუთხეში გაუტანა სომხიშვილს.

უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდა „მერანი“ და მცირეოდენი მაყურებელი. ქომაგებმა ბევრი გოლის მოლოდინში ხელები მოიფშვნიტეს, ახლა კი პანტა-პუნტით წამოვაო, მაგრამ ხალხი ბჭობდა, გუნდები კი იცინოდნენ. ქორიძის გოლის შემდეგ მერანელები ძალიან იშვიათად სტუმრობდნენ ზღვისპირელთა საჯარიმოს. დაცვაში ჩადგნენ და შეტევებს იგერიებდნენ, შეტევები კი გულიანი, მაგრამ უფხო იყო. პირველი ტაიმის მეტი დრო ბურთი „მერანის“ ნახევარზე დაბორიალობდა, ოღონდ გლუნჩაძის კარისკენ გზა ვერავინ ასწავლა.

მოკლედ, „ფილმი“ დამაინტრიგებელი დასაწყისით საინტერესო არ გამოდგა, მაგრამ მეორე „სერიაც“ მსგავსი გამოვიდა. „ბათუმის“ პირველივე შეტევა ვიტალი დარჩიძის გოლით დასრულდა და კიდევ ერთხელ მოიფშვნიტა ქომაგმა ხელები, ეგებ ახლა მაინც ვნახოთ სეირიო, თუმც ამჯერადაც არ გაუმართლათ. ერთი ეგაა, რომ მეორე ტაიმში, პირველთან შედარებით, მეტი იყო „დაარტყა და ააცილა“ მომენტი. მწვრთნელებმა სამ-სამი კაციც შეცვალეს, მაგრამ ამით თამაშის ხასიათი არ შეცვლილა. ბოლოსკენ ფურთუხიამ დაჰკრა შორიდან და ხარიხას გადაევლო ბურთი, მერე კი ქემაშვილს მეკარემ ორჯერ აულო.

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 21 ტური



# დავითაშვილი ასობის მოლოდინშია

## ილბალს რას გაუგებ, სულიკო, ხან გიცინის და ხან გიბღვერს

**კოტე კეკელია თელავიდან**

**რა უნდა** ვთქვათ ფეხბურთელზე, რომელიც ერთ მატჩში სამჯერ გაარტყამს ბურთს ხარიხას? ალბათ, იღბალი უნდა დავუწუნოთ.

და რა უნდა ვთქვათ ფეხბურთელზე, რომელიც ერთ მატჩში თანაგუნდელებს ორ საგოლე პასს მისცემს? ამ შემთხვევაში მადლობის მეტი რა ეკუთვნის.

ხოლო ჰეთ თრიქის შემსრულებელს მატჩის გმირად რომ შერაცხავენ ხოლმე, თქმაც არ უნდა.

სამჯერ ხარიხა, ორი საგოლე პასი და სამი გოლი — ეს „კახეთთან" მატჩში ამერელი სულიკო დავითაშვილის მონაგარია და თავში დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს თუ გავიხსენებთ, გამოდის, რომ „აბრეზა" ამ თამაშის ყველაზე უიღბლო და ყველაზე იღბლიანი მოთამაშე იყო ერთდროულად.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: დავითაშვილს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 98 გოლი დაუგროვდა და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამ სეზონში ასსაც გაასრულებს, რითაც ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში მე-14 ფეხბურთელი გახდება, 100-გოლიან ზღვარს რომ გადააბიჯებს.

თავად მატჩი კი, უფრო სწორად, მისი პირველი ტაიმი, ისეთი იყო, ამერელთა უპირატესობა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად რომ ჩანდა და იმავდროულად ისიც შესაძლებელი იყო, გოლები მათ კარშიც გასულიყო.

მასპინძლებს ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ: ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ლუკა ტეტიაშვილმა მეკარის ბაქნიდან თავი დაჰკრა და ოდნავ ააცილა, მეორე ეპიზოდში იგივე ტეტიაშვილი საჯარიმოში შეიჭრა, მეკარეს ბურთიც გადაავლო, მაგრამ კარისკენ გაგორებული გიორგი ელბაქიძემ გამოიტანა.

თელაველებს ერთი ხელსაყრელი მომენტი თამაშის მიწურულსაც ჰქონდათ, როდესაც ზაქარია ბიძინაშვილის დარტყმული ზურაბ ქვაჩახიამ ცხრიანიდან ჩამოხსნა, წუთის მერე კი კახური გოლიც გავიდა: შოთა ჩუთლაშვილმა ეფექტური მაკრატელათი შეაგდო. ძალიან ლამაზი გოლი კი იყო, მაგრამ ვის უნდა გაეხარა? იმ დროისთვის მასპინძლებს შვიდი ბურთი უკვე გაშვებული ჰქონდათ.

ყველა ამერული მომენტის ჩამოთვლა კი აზრს კარგავს. როცა გუნდი შვიდ გოლს იტანს, გამოუყენელი მომენტები რაღა მოსაყოლია, მით უმეტეს, დავითაშვილის სამი ხარიხა უკვე ვახსენეთ. გოლები კი ასე გავიდა:

0:1 — რატი წინამძღვრიშვილმა ჩინებული პასი მისცა დავითაშვილს, თავად კი საჯარიმოსკენ გაიქცა. „აბრეზამ" ჩაუწოდა და რატიმ ახლოდან ლონიერი დარტყმით შეაგდო.

0:2 — გიორგი დეკანოსიძის ძლიერი დარტყმა მეკარე იაშვილმა მუშტებით უკუაგდო, მაგრამ ბურთი დავითაშვილს მიუვიდა და თავისი პირველი გოლიც გაიტანა.

0:3 — დავითაშვილმა ამჯერად მცველი და მეკარე ჩამოიშორა და ისე შეაგდო.

0:4 — „აბრეზას" დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა, გიზო ჯელაძეს მიუვიდა და მანაც თავისი პირველი ამერული გოლი გაიტანა უმაღლეს ლიგაში.

0:5 — დიმიტრი ტატანაშვილი სამ მცველს შორის აღმოჩნდა, იბრძოლა, ბურთი არ დაკარგა და დავითაშვილისთვის საგოლე პასის მიცემაც შეძლო.

0:6 — „ბანანცის" კარში დენის დობროვოლსკის გოლი თუ გახსოვთ, შორიდან ძლიერად რომ დაარტყა, ესეც იმის ალი-კვალი გოლი იყო. დობროვოლსკისთვის ეს პირველი გოლიც იყო საქართველოს ჩემპიონატში.

0:7 — რბევას წერტილი გიორგი დეკანოსიძემ დაუსვა და აქაც აღვნიშნოთ, რომ ეს დეკანოსიძის პირველი გოლი იყო ამ სეზონში.

თელავი. 21 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი. 200 მაყურებელი

**კახეთი 1:7 ამერი**

0:1 წინამძღვრიშვილი (30), 0:2, 0:3 დავითაშვილი (59, 66), 0:4 ჯელაძე (73), 0:5 დავითაშვილი (76), 0:6 დობროვოლსკი (80), 0:7 დეკანოსიძე (82), 1:7 ჩუთლაშვილი (83)

**კახეთი:** გ. იაშვილი, მ. ხიდეშელი, მურველაშვილი (ოსეპაშვილი 68), გერგიშვილი, ბიბილაშვილი (გიგაური 77), კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, კველიშვილი (ბ. ბურნაძე 62), ბიძინაშვილი, გ. ხიდეშელი, ტეტიაშვილი
სათადარიგო: ლოლაძე
**მწვრთნელი:** ვახილ არუდაშვილი

**ამერი:** ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (ნიკოლაიშვილი 69), დოლიძე (ხვადაგიანი 46), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ჯელაძე, წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 62), ს. დავითაშვილი
სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, გაბისკირია, ჩიმაკაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ხ. გაგნიძე, ი. ურუშაძე; გ. ვადაჭკორია

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი


ჰეთთრიქოსანი სულიკო დავითაშვილი

# აქტუალური საკითხი ვიტ ჯორჯიასთვის: რატომ არის საჭირო მეგოლე

მცხეთა. 21 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 400 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 0:0 ბორჯომი**

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ბ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჟვაია (კლიმიაშვილი 55), გ. მელქაძე, ბერიაშვილი, სახოკია (ინჯგია 61), ლუჭაშვილი (კიკნაძე 78)
სათადარიგონი: ლურბელეიშვილი; კვალიძე, ლიპარტია, ადამაძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**ბორჯომი:** შეყრილაძე, ლ. მერებაშვილი, გოგიშვილი, შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია, კოშკაძე, მემარნიშვილი, ა. კაიდარაშვილი, ლომიძე (საყვარელიძე 90), თედიაშვილი, კაკალაძე (რ. კვერნაძე 82)
სათადარიგონი: ასაბაშვილი; სუხიაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** გრიგალაშვილი (18), კაკალაძე (43), კაიდარაშვილი (80), ჯიქია (82)

**მსაჯები:** დ. სანაია; ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი; ლ. ფანიაშვილი

**დამკვირვებელი:** ნ. კაკულია

**დავით თავართქილაძე მცხეთიდან**

**„ვიტ ჯორჯიამ"** თუ ასე გააგრძელა, ინტერტოტოს საგზურსაც კი ან შეწვდება, ან არა. ვიტელებს „ბორჯომთან" მატჩში არცთუ მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ საგოლე მომენტები, ეს უკვე მერამდენედ, ისე ანიავეს, რომ მოსაგები კვლავაც ვერ მოიგეს.

„ვიტ ჯორჯიას" ცენტრფორვარდი და გუნდის მთავარმეგოლე ნიკა გელაშვილი აკლდა. ვასილ ლუჭაშვილი, ზაზა სახოკია და გიორგი ბერიაშვილი ბორჯომელ მცველებს საქმეს არ აკლებდნენ, მაგრამ საგოლედ ვერც ფეხს იქნევდნენ და ვერც თავს.

ამ სამეულმა მატჩის დასაწყისში რამდენჯერმე მწარედ უჩხვლიტა „ბორჯომს" და გეგონებოდათ, გოლი საცაა მწიფდებაო, მაგრამ ნურას უკაცრავად.

ერთხელ ბორჯომელებიც გაიქაჩნენ შეტევაში — ლექსო კაიდარაშვილმა გრიგოლ ბედიაშვილისთვის მოულოდნელად დაარტყა, ცაციათი ჭვინტი ჰკრა ბურთს, რომელსაც ვიტელთა მეკარემ ოდენ თვალი გააყოლა, თუმც კაიდარაშვილი სანტიმეტრებში შეცდა — ბურთი ძელისგან ოდნავ განზე წავიდა.

ვიტელები ზეწოლას განაგრძობდნენ, ბურთი თითქმის სულ „ბორჯომის" ნახევარზე დახტოდა და დაფრინავდა. სახოკიას ახლოდან დარტყმული ბურთი ბექა შეყრილაძემ გააქვავა ხელებში, დავით ლომაიას თავური ოდნავ ასცდა მიზანს, საუკეთესო შანსი კი ბერიაშვილს მიეცა — ხუთი-ექვსი მეტრიდან დაარტყა და შეყრილაძემ ურთულესი ბურთი მოიგერია.

მეორე ტაიმიც „ვიტ ჯორჯიასი" იყო. ბერიაშვილმა მოხდენილად ჩამოიცილა მცველი, მაგრამ ოციოდე მეტრიდან კარში ხეირიანად ვერ დაარტყა; ლუჭაშვილი შეყრილაძესთან პირისპირ აღმოჩნდა, გასცდა მას და მცველთან ორთაბრძოლაში მეკარისგან მიტოვებულ კარს ბურთი ვეღარ დაუმიზნა; გიორგი დათუნაიშვილი კართან სამ-ოთხ მეტრში აღმოჩნდა, მაგრამ დარტყმა დაახანა და ვიტელთა კიდევ ერთი საგოლე შანსი გაიფლანგა.

მატჩის ბოლოსკენ „ვიტ ჯორჯიას" საგოლე ჟინი დაიწრიტა, ნესტორ მუმლაძის გუნდს თითქოს ნირი წაუხდა, ბურთს „ბორჯომის" კარში შესვლა არ უნდოდა და ძალაც ვერავინ დატანა.

ერთი შანსი „ბორჯომსაც" ჰქონდა — მიხეილ კაკალაძე აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ თითქოს მუხლებში ძალა გამოეცალა და ხელსაყრელი მომენტიდან ვერაფერი შექმნა.

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 21 ტური

# დილა კოპაკაბანაზე: ბრაზილია გატანაზე

ზესტაფონი. 21 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 4:1 დილა

1:0 იონანიძე (42), 2:0 სანტოსი (47), 3:0 ფიფია (52), 3:1 გონჩაროვი (81), 4:1 ჟონატასი (84)

ფიფიამ ვერ გაიტანა პენალტი (78, ძელი)

| ზესტაფონი | დილა |
|---|---|
| **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, დოს სანტოსი, შ. ლონლაძე, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ს. თოდუა, კესანი, ნ. კვასხვაძე (ჟონატასი 70), ფიფია, გ. ქელიძე (გ. ჩხეტიანი 77), იონანიძე (ბ. ნოზაძე 63) | **დილა:** თევდორაძე, ი. კობახიძე (ნ. ნოზაძე 68), ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, ტლაშაძე (სადალაშვილი 49), კ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ვარდოსანიძე, გონჩაროვი, სულთანიშვილი (სამადაშვილი 57) |
| სათადარიგონი: ჯალალონია; გ. ხიდეშელი, სანაია, ბ. გოცირიძე | სათადარიგონი: კეზუაშვილი; ჩიტაია, აბრამიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი |
| **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **მწვრთნელი:** მამუკა ვარდოსანიძე |

**გაფრთხილება:** ლომაშვილი (5), სულთანიშვილი (34)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; მ. ელიკაშვილი, ა. გუნთაძე; გ. კიკაჩეიშვილი

**დამკვირვებელი:** ს. კვარაცხელია

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**მოხდა ის,** რაც უნდა მომხდარიყო. გასავარდნად განწირულმა გორელებმა რაც შეიძლეს ის იყო, რომ 42 წუთი გაძლეს, მერე კი...

თემურ მახარაძემ რამდენიმე ძირითადელი დაასვენა, ზოგიც დისკვალიფიცირებული ჰყავდა, მაგრამ განა უმათოდ იყო რაიმე პრობლემა?! ეგაა, პირველ ტაიმს უგოლობის პირი უჩანდა, ბევრის მომლოდინე მაყურებელიც ანერვიულდა, თუმცა ზურაბ იონანიძის გვიანმა გოლმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

მანამდე კი უპირატესობა, რა თქმა უნდა, იმერელთა იყო. გატანა ჯერ სანტოსს შეეძლო მატჩის დასაწყისშივე, შემდეგ გოგი ფიფიას, მაგრამ გოლი იგვიანებდა. და, აი, 42-ე წუთი: აუტიდან ბურთი პირდაპირ საჯარიმოში ჩააგდო როინ ონიანმა, იქ კი მცველებით გარემოცულმა იონამ ბურთისთვის ფეხის წაკვრა მაინც მოახერხა. არცთუ ძლიერი დარტყმული ჯერ ერთ მცველს მოხვდა, შემდეგ დავით ხანიშვილის ფეხს და რევაზ თევდორაძე უძლური აღმოჩნდა.

ერთ წუთში იონანიძეს მეორედაც მართებდა გატანა, მაგრამ ათიოდ მეტრიდან თავური მაინცდამაინც დავით ტლაშაძეს გაარტყა.

შესვენებამ სულზე კი მოუსწრო გორელებს, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებმა ძალუმად შეუტიეს და ხუთ წუთში იმდენი მომენტი შეიქმნეს, ორი გოლიც კი ცოტა იყო. მეორე გოლი ბრაზილიური აღმოჩნდა: ფიფიამ საჯარიმოში ჩააწოდა, იონანიძემ კი სანტოსს კარის წინ თავით ჩინებული პასი უბოძა და მასაც სამიოდ მეტრიდან თავით გატანა როგორ გაუჭირდებოდა.



მალე შეტევაში ჩართულმა სევასტი თოდუამ ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა ფიფია და ამანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მასვე, მთავარმეგოლეობისთვის მებრძოლს, კიდევ შეეძლო გოლით გახარება, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე დანიშნული პენალტი ძელს გაარტყა.

ბოლო ათ წუთში კი მოხდა ის, რომ ჯერ ბორის გონჩაროვმა გაიტანა მოხდენილი დარტყმით, მალევე კი სტატუს-კვო ისევ ბრაზილიელმა, შეცვლაზე შესულმა ჟონატასმა აღადგინა არანაკლებ ეფექტური დარტყმით.

აი, ეს იყო, რაც ამ მატჩზე შეიძლებოდა თქმულიყო. „დილა" ალბათ თავს ველარ გადაირჩენს, აი, „ზესტაფონს" კი წინ დიდი ბრძოლები ელის. 27 აპრილს „ამერთან" სტუმრობა ბევრ რამეს გაარკვევს, თანაც, ჩემპიონატზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ხომ თითქმის გადაწყვეტილი სათასო ფინალის ერთგვარი რეპეტიციაც იქნება...

# 5 გოლი 5 მაისის მოლოდინში



**ილია ნანობაშვილი რუსთავიდან**

რა ადვილია და თან რა ძნელი ასეთ მატჩზე წერა. ადვილი იმიტომ, რომ სულაც არაა საჭირო თამაშს ჩაწვდე და მწვრთნელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი გააანალიზო. ძნელი კი იმიტომ, რომ შენ თავს ეკითხები — რა უნდა დავწერო?

რა გინდა თქვა, როცა უკვე მე-17 წუთზე გუნდი წაგებას ეგუება, ხოლო მეორე ტაიმის უმეტესი ნაწილი სიარულს უყურებ. „ოლიმპს" რას ვერჩით, საქმე გაკეთებული ჰქონდა და ორნიშნა ანგარიშით მოგებაზე აღარ უზრუნია. „ჩიხურას" ასეთ უსუსურობას კი ნაღდად არ ველოდით, ასე ცუდად რეგიონალლიგის გუნდებიც კი არ უნდა თამაშობდნენ.

მსაჯ ლევან კვარაცხელიას ერთ წუთში სამჯერ მოუხდა ჯიბეზე ხელის წავლება და სამჯერვე საჩხერელი გიორგი ქუცურუას გამო. მე-17 წუთზე ქუცურუამ პირველი ყვითელი იხილა, არ გაჩერდა და ბილწსიტყვაობას მოჰყვა, მერე კი სულაც ფიზიკურადაც შეეხო კვარაცხელიას, რის გამოც მსაჯმა მეორე ყვითელი და ავტომატურად, წითელი ბარათი აუფრიალა.

ამ დროს „ჩიხურა" უკვე 0:1 აგებდა — გიორგი ნავალოვსკის ჩაწოდებულს გიორგი სეთურიძემ ოდნავ უცვალა გეზი და რევაზ გეწაძემ თავურით გახსნა ანგარიში. აქედან მოყოლებული, რევაზ ძოძუაშვილის „ოლიმპმა" ცალკარა აყურებინა გულშემატკივრებს.

გეწაძე, ნავალოვსკი, სეთურიძე, აფციაური — ყველაზე აქტიურად ესენი უტევდნენ სტუმრებს, რომელთაგან მხოლოდ ფორვარდ ჯაბა დვალს ეტყობოდა თამაშის სურვილი. დვალი შრომობდა, მაგრამ მარტო იყო, დაიღალა და მეორე ტაიმში ისიც დაშვრა. შესვენებამდე კი „ოლიმპმა" კვლავ გეწაძის გოლით გაიხარა: სეთურიძის ჩაწოდებული ბურთი რევაზ გოცირიძემ სეხნიას მიაწოდა და მანაც ერთი შეხებით დაარტყა — 2:0.

რუსთავი. 21 აპრილი. 16 საათი. ფოლადი. 3 500 მაყურებელი

## ოლიმპი 5:0 ჩიხურა

1:0, 2:0 გეწაძე (13, 40), 3:0 კახელიშვილი (48), 4:0 გოცირიძე (61), 5:0 კახელიშვილი (88)

| ოლიმპი | ჩიხურა |
|---|---|
| **ოლიმპი:** მ. ალავიძე, სეთურიძე (ბერუაშვილი 50), მახვილაძე (კახელიშვილი 46), ძამსაშვილი, გ. ონიანი, ჭიჭველიშვილი, ნავალოვსკი, გეწაძე, ქებაძე (ჩხარტიშვილი 60), აფციაური, რ. გოცირიძე | **ჩიხურა:** მწყერაშვილი, ბარამიძე, დ. გიგაური, ქემოკლიძე, ქუხილავა, ბუცხრიკიძე (მ. მიქაძე 56), ი. ზაბახიძე (ლ. ვაშაკიძე 21), ქუცურუა, კ. მახარაძე, გ. მიქაძე (გვეტაძე 51), დვალი |
| სათადარიგონი: მერლანი; ხუბუა | სათადარიგონი: დოლაძე |
| **მწვრთნელი:** რევაზ ძოძუაშვილი | **მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი |

**გაფრთხილება:** ქუცურუა (17, 17)

**შეძევება:** ქუცურუა (17)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია; ა. კრიჟაშვილი

მეორე ნახევარში უფრო ეშხიანი გოლები გავიდა. 48-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა გიორგი კახელიშვილმა გოცირიძესთან გაითამაშა კედელი, მოხდენილად გაისროლა და ბურთი ხარიხიდან ასხლეტით ჩაჭედა კარში — 3:0; 61-ე წუთზე აფციაურმა გოცირიძე მონახა და მანაც ახლო კუთხეში გაუტანა სტუმრებს — 4:0; 88-ე წუთზე კი კახელიშვილმა მთელი მინდორი გადაირბინა და ისე ოსტატურად შეაცურა ბურთი მცველსა და მეკარეს შორის, ტაში ალალი იყო — 5:0.

„ოლიმპი" ისევ სამქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს ჩემპიონატს და რუსთავის „ფოლადი" 5 მაისს მოუთმენლად ელის: „დინამოს" აქ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ტყუილად მოგვდევსო, ამბობდნენ რუსთაველი ძმაკები...

# დარასიონი

## ვიტალიმ კუთხურიდან ჩააზვია

ბოლნისი. 21 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 700 მაყურებელი

## სიონი 1:0 ტორპედო

1:0 დარასელია (61)

| სიონი | ტორპედო |
|---|---|
| **სიონი:** მამალაძე, სვანიძე, ფრიდოლინი, ორბელაძე, ლ. ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი (ბ. ცხადაძე 55), კორღალიძე, სანიკიძე, უგრეხელიძე (ა. ალავიძე 52), ჩასემი (კობაური 89), ვ. დარასელია | **ტორპედო:** ქვილითაია, ლაღაძე, რ. ბარაბაძე, ბ. ჩხეტიანი, კვეტენაძე (გორგოძე 85), ნ. ნადირაძე (ა. კვერნაძე 79), მ. ლონლაძე (ზივზივაძე 68), ჭედია, ქუთათელაძე, იმედაძე, გურული |
| სათადარიგონი: ბობღიაშვილი; რაქვიაშვილი, ექონია, გიგინეიშვილი | სათადარიგონი: ოდიშარია; ხურცილავა, კირკიტაძე, დანელია |
| **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე | **მწვრთნელი:** იური კვერნაძე |

**გაფრთხილება:** სვანიძე (26), ნადირაძე (45), ჩასემი (57)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; კ. გუდურაშვილი, ა. კოკაია; ო. ხეცაძე

**დამკვირვებელი:** ვ. ეჯიბია

**მიხეილ ჟორჟოლიანი ბოლნისიდან**

**ტურის** ალბათ ყველაზე უმოტივაციო მატჩში მასპინძლები მაინც ფავორიტებად ითვლებოდნენ. „სიონს" მშიერი „ტორპედოს" ძლევა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ რიონისპირელებმა გვარიანი ბრძოლა გაუჩალეს მასპინძლებს და რომ არა ვიტალი დარასელიას პირდაპირ კუთხურიდან გატანილი ბურთი, ვინ იცის, თამაში როგორ დასრულდებოდა.

კახა ცხადაძის არყოფნაში ქვემოქართლელები სათამაშოდ გიორგი ყიფშიძემ გამოიყვანა. საწყის ნახევარ საათში „სიონი" უპირატესობასაც ფლობდა და კაპიტანი დარასელიაც ყოჩივით მიუძღოდა თავისიანებს, მაგრამ...

მე-16 წუთზე დარასელიას დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, შემდეგ მასვე ზედიზედ ორჯერ უმტყუნა მიზანმა. 29-ე წუთზე კი ვიტალის თავურს მაქსიმე ქვილითაიამ თითები წაატანა და „ტორპედო" გოლს გადაარჩინა.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ უვარჯიშებელი „ტორპედო" თანდათან დაილლებოდა, მაგრამ ტაიმის ბოლო 15 წუთი ბურთს უფრო ქუთაისურები აკონტროლებდნენ და რამდენჯერმე კარისკენაც გაისროლეს, თუმც ჩარჩოში ერთხელაც ვერ მოახვედრეს.

მეორე ტაიმში მაყურებელი „სიონის" დაწოლას ელოდა, მაგრამ „ტორპედოს" დაცვა და შუა ხაზი მეტოქეს ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ბოლნისელები უფრო შორიდან დარტყმით ცდილობდნენ გატანას, მაგრამ ქვილითაია ყოჩაღად იდგა.

61-ე წუთზე კი ქუთათურთა მეკარემ არჩილ ალავიძის დარტყმული ბურთი უკუაგდო კუთხურზე, რომლის ჩასაწოდებლად დარასელია გაემართა და...

ამის შემდეგ გოლის გატანა ერიკ რომეო ჩასემსაც შეეძლო, რომელიც ორჯერ დარჩა ქვილითაიასთან პირისპირ, მაგრამ ჯერ გიორგი გურულმა მიუსწრო და აართვა ბურთი, მეორედ კი მეკარემ ივარგა.

„ტორპედო" საპასუხო გოლის გამტანს აღარ ჰგავდა, მეტოქის იერიშების ჩაშლასღა ახერხებდა. ნამატჩევს ქუთათურთა მწვრთნელმა იური კვერნაძემ გვითხრა, ნახევარმცველებს შეტევების სწრაფად დაწყება უჭირდათ, თორემ ამ თამაშის წაგება არ შეიძლებოდაო.

კვერნაძე მართალი იყო. ბოლნისელი გულშემატკივარიც უკმაყოფილო დარჩა თავისიანების თამაშით და მათი საუბრის მოსმენისას შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საქმეები ვერც „სიონში" უნდა იყოს დალაგებული.

# საქართველოს ჩემპიონატი

# დინამომ შეავსო

ვერის ბაღი

21 აპრილი

**სტუ 111:107 დინამო**

*37:25 24:25 24:18 26:39*

სტუ: ლ. ნოზაძე (5), ეძგვერაძე (2), სეფისკვერაძე (2), ბერაია (25), კოხრეიძე (8), ძიძიგური (9), მაისურაძე (13), ახალკაცი (22), ბარბაქაძე (25)

დინამო: გულისაბედაშვილი (3), ბადრიძე (12), ლაფანაშვილი (27), კოლუაშვილი (11), ნ. ნოზაძე (16), სიგუა (3), მურჯიკნელი (13), გვიმრაძე (19), ფაიქრიძე

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა*

*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**თსუ 113:80 მაკაბი**

*31:13 35:24 13:14 34:29*

თსუ: არწივიძე (3), ბ. ბერიშვილი (10), ფანჩულიძე (11), ლეჟავა (29), მარხვაშვილი (2), ვეფხვაძე, ტყეშელაშვილი (10), შანიძე (10), მათიაშვილი (2), ხეცურიანი (25), მ. ბერიშვილი (9), იმნაძე (2)

მაკაბი: დოლიძე (12), ხორავა, ს. შერმადინი (24), გამცემლიძე (4), ჯგერენაია (6), ვაშაკიძე (8), კორკოტაძე (18), პირველაშვილი (8)

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე*

*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**ავიამშენი 82:108 აზოტი**

*20:36 17:25 23:23 22:24*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (4), ბაბიაშვილი (13), ხოშტარია (9), ნიკოლაძე, ი. ბერიშვილი (13), კვიმსაძე (10), ნინიაშვილი (6), კეიდია (14), როდუმტა (14)

აზოტი: გამყრელიძე (4), ბერძენიშვილი (6), ბეჟანიშვილი (12), ბოისა (12), დიდია (9), მინაშვილი (2), ტულუში (22), მარკოიშვილი (17), უგრეხელიძე (8), გოგობერიშვილი (6), ტუჯანი (5), მალეშევიჩი (2)

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე*

*კომისარი: მურმან ქურიძე*

22 აპრილი

**აზოტი 115:84 სტუ**

*34:31 32:19 21:19 28:15*

აზოტი: გამყრელიძე (4), ლიპარტელიანი (8), მინაშვილი (14), ბერძენიშვილი (14), დიდია (14), ცაკვავა, ტულუში (9), მარკოიშვილი (20), მალეშევიჩი (4), გოგობერიშვილი (12), ტუჯანი (8), ქოქუა (8)

სტუ: სეფისკვერაძე (6), ბერაია (13), კოხრეიძე (18), მაისურაძე (25), ახალკაცი (8), ბარბაქაძე (8), ლ. ნოზაძე, დევიძე, ძიძიგური (6)

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა*

*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**დინამო 97:84 მაკაბი**

*31:29 30:18 20:12 16:25*

დინამო: გულისაბედაშვილი (19), ბადრიძე (2), კოლუაშვილი (13), ლაფანაშვილი (8), ნოზაძე (14), სიგუა, ბოლქვაძე (2), მურჯიკნელი (9), გვიმრაძე (22), ფაიქრიძე (8)

მაკაბი: დოლიძე (9), ხორავა (6), პირველაშვილი (9), ჯგერენაია (8), ვაშაკიძე (17), კორკოტაძე (3), ს. შერმადინი (25)

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე*

*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**თსუ 108:95 ავიამშენი**

*36:24 23:21 20:24 29:26*

თსუ: არწივიძე, ბ. ბერიშვილი (12), ფანჩულიძე (13), ლეჟავა (10), მარხვაშვილი (11), ვეფხვაძე (2), შანიძე (15), მათიაშვილი (8), ტყეშელაშვილი, ხეცურიანი (25), იმნაძე (2), მ. ბერიშვილი (10)

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (3), ბაბიაშვილი (19), მოსეშვილი, ხოშტარია (2), ნიკოლაძე (11), ი. ბერიშვილი (31), კვიმსაძე (10), კეიდია (11), როდუმტა (6), სუხიშვილი (2)

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე*

*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**სუპერლიგის** გრძელი და მომქანცველი რეგულარული ჩემპიონატი, როგორც იქნა, ფინიშთან მივიდა და გუშინ „ავიამშენ“ — „აზოტის“ არაფრისმომცემი მატჩით დასრულდა. ამ სეზონში გუნდებმა რეკორდულად მეტი, ხუთი წრე მოილიეს და პლეი ოფის ჯერიც დადგა. ეგაა, ცხრილის მოლიდერე ტრიოსთვის ბოლო წრემ აზრი დაკარგა, რადგან პირველ-მეორე-მესამე ადგილები აქამდეც გადანაწილებული ჰქონდათ. გასარკვევი იყო პლეი ოფის მეოთხე მონაწილე და ის ოფიციალურად გუშინ გამოვლინდა, როცა „დინამომ“ „მაკაბი“ დაამარცხა.

თუმც „დინამოს“ მეოთხედფინალში გასვლის ამბავი ფაქტობრივად ხუთშაბათს გადაწყდა, როცა ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებმა პლეი ოფში გასვლით დაარხეინებული თსუ დაამარცხეს. „დინამომ“ უშუალო მეტოქესთან გუშინწინ ითამაშა, თუმც წაგების მიუხედავად, პლეი ოფის წევრად თვლიდა თავს. ერთადერთი, რასაც ამისთვის ხელის შეშლა შეეძლო, ბოლო ტურში სტუ-ს „აზოტთან“ გამარჯვება გახლდათ.

გუშინ რუსთაველები ძირითადად მეორე შემადგენლობით ეთამაშნენ ტექნიკოსებს, თუმც მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ და „დინამოს“ პლეი ოფში გასვლის გასაფორმებლად ბოლოადგილოსანი „მაკაბის“ დამარცხება მართებდა. ცაგარეიშვილის გუნდმა იოლად დაძლია ლიდერის, გიორგი შერმადინის გარეშე დარჩენილი მაკაბელების წინააღმდეგობა და კვარტეტიც შეიკრა. „აზოტს“, „ავიამშენსა“ და თსუ-ს პლეი ოფში „დინამო“ შეუერთდა.

ამ უქმეებზე ლიდერებმაც წაითამაშეს ერთმანეთში, მაგრამ როგორც ვთქვით, მათთვის ყველაფერი გარკვეული იყო და ამ მატჩებს დასაზვერად თუ გამოიყენებდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო „ავიამშენისა“ და თსუ-ს გუშინდელი დაპირისპირება — ეს გუნდები ხომ ერთმანეთს პლეი ოფში ხვდებიან. თამაში ერთფეროვანი გამოდგა: სტუდენტებმა უპირატესობა რომ მოიპოვეს, 10-15-ქულიან ჰანდიკაპზე შეჩერდნენ და თამაშის ბოლომდე ასეთი დისტანციით იარეს. თსუ-მ „ავიამშენთან“ ბოლო ორ მატჩში იოლად იმარჯვა და პლეი ოფს შედარებით მხნედ ხვდება.

„აზოტმა“ კი ერთხელაც დაადასტურა, რომ ჩემპიონობის გარდა არაფრის გაგონება არ სურს. შაბათს რუსთაველებმა თბილისში ერთი ხელის გაქნევით დაამარცხეს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან პლეი ოფში მათ მოედნის უპირატესობა აქვთ, ჩემპიონის ვინაობაც ადვილი გამოსაცნობია.

**ირაკლი პერტაია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 25 | 24 | 1 | +625 | 49 |
| ავიამშენი | 25 | 17 | 8 | +230 | 42 |
| თსუ | 25 | 16 | 9 | +278 | 41 |
| დინამო | 25 | 8 | 17 | -246 | 33 |
| სტუ | 25 | 7 | 18 | -389 | 32 |
| მაკაბი | 25 | 3 | 22 | -532 | 28 |

**პლეი ოფი**

აზოტი — დინამო

ავიამშენი — თსუ



დავით იმნაძე (№14) „აზოტის“ ფარს უტევს

PLAYOFFS 2007

# დაიოკეთ ნერვები

## და ურტყით ორლანდოს ხელებში

**შაბათღამ** სამ ამერიკულ და ერთ კანადურ ქალაქში ნბა-ს 2007 წლის სეზონის პლეი ოფი დაიწყო. დასავლელი ბობოლები — „დალასი“, „სან ანტონიო“ და „ფინიქსი“ ამ დღეს უქმობდნენ, ისინი კვირაღამ გავიდნენ ფიცარნაგებზე და მათ ამბავს ხვალ მოგახსენებთ.

საინტერესო შაბათსაც ბევრი მოხდა. პლეი ოფში დაბრუნებული და აღმოსავლეთში მესამე ნომრად განთესილი „ტორონტო“ გახდა პირველი გუნდი, რომელმაც მოედნის უპირატესობა დათმო. ტორონტოელები პლეი ოფში არცთუ დამაჯერებელი შედეგებით გასულ ნიუჯერსელთაგან ყველაზე უფრო ყოფილ ტორონტოელ ვინს კარტერს უფრთხოდნენ და მის წინააღმდეგ დაირაზმა ლამის მთელი კანადური ქალაქი. ორი ათეული ათასი ადამიანი მთელი შეხვედრის განმავლობაში უსტვენდა მფრინავ ნიუჯერსელს, რომელიც იყო დრო, მთელ „ტორონტოს“ მარტო მიათრევდა რეგულარულშიც და პლეი ოფშიც. კარტერი ყოჩაღი ყმაწვილი კია, მაგრამ ქვისა ნამდვილად არ გახლავთ და აშკარად ვერ აიწყო თამაში — მხოლოდ 16 ქულას დასჯერდა. მაგრამ „ნიუ ჯერსის“ დროშა მისმა გვერდში მდგომებმა აიტაცეს და პირველი შეტაკებაც მოიგეს.

ძირითადად ახალგაზრდა და საპლეიოფოდ გამოუცდელი ტორონტოელები სტუმრებმა სწორედ გამოცდილების ხარჯზე დაამარცხეს. 34 წლის ჯეისონ კიდმა ტრადიციულად ბლომად იხვეჭა მოხსნა-პასები და ტრადიციულადვე ქულები დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

ჩემპიონმა „მაიამიმ“ ტიტულის დაცვა სტუმრად მარცხით დაიწყო. ჩიკაგოელი „ხარები“ ახლადმოკეთებულ, მაგრამ მაინც საშიშ დუეინ ვეიდს და ყოველთვის საშიშ, ბეხრეკ შაკილ ონილს შეტევაში ეაქტიურნენ, პერსონალურებით დახუნძლეს და ასე გაიდნენ ფონს. შაკილმა 19 ქულის გაკეთება კი მოახერხა, მაგრამ 26 წუთში 6 პერსონალური მიიღო და გავარდა. ჩიკაგოელებმაც 27 საჯარიმოდან 23 გამოიყენეს. გამარჯვებულთა შორის გამოირჩნენ მსროლელი ბენ გორდონი და სუდანელი წარმოშობის ინგლისის მოქალაქე და კალათბურთს ამერიკაში ნაზიარები ფორვარდი ლუოლ დენგი. „ჩიკაგოს“ კარგად წაადგა სულ ახლახან მოკეთებული არგენტინელი ანდრეს ნოჩიონის 17 ქულაც.

„ჩიკაგოსგან“ განსხვავებით, თამაში სწორედ საჯარიმოთა უხეიროდ შესრულების გამო წააგო „ორლანდომ“. ფლორიდულმა გუნდმა ფავორიტ „დეტროიტთან“ სადებიუტო თამაშში რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა. ორლანდოელებმა კლუბის საპლეიოფო რეკორდი დაამყარეს თამაშიდან სროლების ჩაგდებებით (58,1 პროცენტი ჩააგდეს). რამდენადაც თამაშიდან თავდაჯერებულები იყვნენ, საჯარიმოები იმდენად უნიათოდ ისროლეს და ჰა, შედეგიც — 36 ტყორცნიდან მხოლოდ ნახევარი გამოიყენეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ორლანდოს“ მთავარმა ვარსკვლავმა დუაიტ ჰოვარდმა (11-დან 8 ააცილა) და დეტროიტელებმაც რა შეატყვეს, ცუდად ესვრიანო, ჯარიმებს არ დაერიდნენ. წაგებულთაგან თურქ ჰიდაიეთ თურქოღლუსთან ერთად გამოირჩნენ ყოფილი დეტროიტელები — გრანტ ჰილი და დარკო მილიჩიჩი. მოგებულთაგან კი გამოსარჩევია მთელი ხუთეული.

დასავლეთში მხოლოდ ერთ წყვილში დაიწყო რკინა — „ჰიუსტონ როკიტსმა“ შინ აჯობა „იუტა ჯაზს“. ჰიუსტონელი ტრეისი მაკგრეიდი თამაშამდე ბევრს ნერვიულობდა და მერეც გვიანობამდე ვერ დაწყნარდა. ამ სუპერვარსკვლავს ხომ კარიერაში ერთი საპლეიოფო სერიაც არ აქვს მოგებული და განუწყვეტლივ ყველა ამას უკიჟინებს. „თიმეკ“ ისეთ განცდებში იყო, რომ პირველი ექვსი სროლა ააცდინა და საერთოდ, მთელი პირველი ტაიმი დიდ ტანჯვა-წვალებაში გაატარა, მაგრამ შემდეგ, როგორც თავად თქვა, გასახდელში საკუთარ თავს ერთიორი შემოულაწუნა და მოედანზე მშიერი ვეფხვივით შემოვარდნილმა მესამე მეოთხედში 16 ქულა ჩაუგდო „იუტას“. „ჰიუსტონმაც“ ეს პერიოდი 26:11 მოიგო და საბოლოოდაც დამაჯერებლად იმარჯვა.

**კოტე ყორშია**

21 აპრილი

## აღმოსავლეთი

### დეტროიტი 1:0 ორლანდო

**დეტროიტი 100:92 ორლანდო**

დეტროიტი: ბილაფსი (22 ქულა, 11 პასი), ჰამილტონი (22), რ. ვოლესი (16), ვებერი (12), პრინსი (12)

ორლანდო: თურქოღლუ (17), ჰილი (14), მილიჩიჩი (14), ჰოვარდი (13 ქულა, 19 მოხსნა)

### ტორონტო 0:1 ნიუ ჯერსი

**ტორონტო 91:96 ნიუ ჯერსი**

ტორონტო: ბოში (22), ფორდი 21), პარკერი (16), კალდერონი (13)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (28), ნახბარი (16), კარტერი (16), კიდი (8 ქულა, 15 პასი, 10 მოხსნა)

### მაიამი 0:1 ჩიკაგო

**ჩიკაგო 96:91 მაიამი**

ჩიკაგო: დენგი (33), გორდონი (24 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ნოჩიონი (17)

მაიამი: ვეიდი (21), უოლკერი (20), ონილი (19)

## დასავლეთი

### იუტა 0:1 ჰიუსტონი

**ჰიუსტონი 84:75 იუტა**

ჰიუსტონი: მინი (28 ქულა, 13 მოხსნა), მაკგრეიდი (23), ალსტონი (9 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

იუტა: უილიამსი (15 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), ფიშერი (15), ჰარპრინგი (14)

# ევროპის ჩემპიონატი
სოფია, ბულგარეთი. 17-22 აპრილი

# ძმა ძმისთვისაო, ოქრო სხვისთვისაო

## თავისუფალი ნადავლი: ვერცხლი და ორი ბრინჯაო



AFP

გელა სალირაშვილმა მახაჩ მურთაზალიევი ვერ გადაწონა

**სოფიური** ევროპირველობა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა დახურეს. მედლების ბოლო, მეშვიდე კომპლექტი ბერძნულ-რომაულის მსგავსად აქაც 96 კილოგრამში გათამაშდა. ამ წონაში ზაზა თურმანიძის გუნდის ყველაზე ტიტულიანი წევრი გიორგი გოგშელიძე ჭიდაობდა და, ცხადია, თავიდანვე იმედი გვქონდა, რომ თავისუფლების წერტილსაც ქართველი დასვამდა — კლასიკური ორდღეული ხომ რამაზ ნოზაძემ დახურა საქართველოს ჰიმნით.

კენჭისყრას რომ გადავხედეთ, ხასიათი უფრო გამოგვიკეთდა. გოგშელიძის წონას აშკარა ფავორიტი, რუსი ჰაჯიმურატ გაცალოვი აკლდა. მის ნაცვლად ჩრდილოელებს შვიდეულში შირვან მურადოვი შეეყვანათ. ქართულ-რუსული გზა მეორე წრეში გადაიკვეთა და მეოთხედფინალში, სამწუხაროდ, მურადოვი გავიდა. გოგშელიძეს ისღა დარჩენოდა, რუსის ფინალში გასვლისთვის ეგულშემატკივრა, თავად ბრინჯაოს შანსი რომ გასჩენოდა. ასეც მოხდა და ჩვენებური რეპეშაჟში გადაერთო. იქ ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ბულგარელი დიმიტარ კუმჩევი, უნგრელი გერგელი კიში, რუმინელი მიხაი სტროია და მესამე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატის დასკვნითი დღის მთავარი ქართული ამბავი კი გიორგი სალირაშვილის (74 კგ) ფინალში გასვლა გახდა. ამ გორელ ვაჟკაცს ოქროს მედლისთვის უხვტიტულა რუსთან, მახაჩ მურთაზალიევთან მოუხდა დაჭიდება და დამარცხდა, თუმცა თურმანიძის შვიდეულში მაინც საუკეთესო შედეგი აჩვენა. ფინალამდე სალირაშვილმა ლატვიელი ანტონს აზარევიჩსი, პოლონელი კრისტიან ბრჟოზოვსკი, საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ემზარიოს ბენტინიდისი, ჩვენებურად ემზარ ბედინეიშვილი და სომეხი რუსლან კოკაევი ჩამოიცილა.

ამ ორი წონის გარდა გუშინ 60 კილოგრამიც ჩაჭიდავდა, მაგრამ ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოდ. საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა გიორგი ბალიაშვილმა პირველ წრეში ესტონელ იაანეკ ლიპსს აჯობა, მაგრამ მერე გამოცდილ ადამ ბატიროვთან ველარაფერს გახდა და რახან ფინალს ვერც ამ რუსმა უწია, ჩვენებურმა ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

მეორე დღის ვერცხლამდე და ბრინჯაომდე პირველი დღის ოთხი წონა და ერთი ბრინჯაო იყო. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მძიმეწონოსანი ალექსი მოდებაძე ავიდა. 120-კილოგრამიანმა ქართველმა პირველ წრეში დაისვენა, მერე რუმინელი დანიელ ჩინტოანის ძლევით მეოთხედფინალში გავიდა, თუმც უკრაინელ სერგეი პრიადუნთან ველარაფერს გახდა. მოგვიანებით პრიადუნმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, მოდებაძემ კი ბრინჯაოს გზაზე მოლდოველი გეორგი სუსუმცოვი და უნგრელი ოტო აუბელი დაამარცხა.

კვარცხლბეკამდე თითო გამარჯვება დააკლდათ ბესიკ გუჩაშვილს (55 კგ) და ლერი ქეთიშვილს (84 კგ). პირველს ბრინჯაოს ბრძოლა ძლიერმა ბულგარელმა რადოსლავველიკოვმა მოუგო, მეორეს — თურქმა სერჰატ ბალჩმა.

გუჩაშვილი რეპეშაჟში აწ უკვე ევროპის ჩემპიონმა, რუსმა ბესიკ კუდუხოვმა ნახევარფინალიდან გადაუშვა. იქამდე კი ქართველს იტალიელი ფაბიო კოსცინო და ესპანელი ფრანცისკო სანჩესი ჰყავდა დამარცხებული.

ქეთიშვილმა ტურნირი სომეხი ვადიმ ლალიევის ძლევით დაიწყო, მეორე წრეში საფრანგეთის სახელით მოჭიდავე ნოდარ ბოხაშვილი ჩამოიცილა, მერე კი უკრაინელ ტარას დანკოსთან მეოთხედფინალში წააგო და მის ფინალში გასვლას დაელოდა. დანკო ფინალში მართლაც გავიდა და ქართველი რეპეშაჟის ნახევარფინალში გადაერთო. კვიპროსელ ფელიქს პოლიანიდისს კი მოუგო, მაგრამ უშუალოდ მედლისთვის ბრძოლაში ალარაფერი გამოუვიდა. ლერი ქეთიშვილის ნაცვლად ტარას დანკოზე შური რუსეთის სახელით მოჭიდავე გიორგი კეტოევმა იძია. შეგახსენებთ, რომ ეს ბიჭი ლერის ღვიძლი ძმაა. რუსეთში ჭაბუკობისას გადაიყვანეს და აგურ ევროპის ჩემპიონიც გახდა. ბულგარული კენჭისყრის შემდეგ ძმები საპირისპირო ბადეებში მოხვდნენ და, წესით, ფინალამდე არ უნდა დასჭიდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს შეხვედრა სამომავლოდ გადაიდო. იქამდე კი ლერი ქეთიშვილის სადებიუტო ევროპირველობაზე მოპოვებული მეხუთე ადგილიც კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

66 კილოგრამიანი კობა კაკალაძე ხალიჩაზე მხოლოდ ერთხელ გავიდა. თავიდანვე მძლავრი ბულგარელის, სერაფიმ ბარზაკოვის პირისპირ მოუხდა დადგომა. გამარჯვება ტურნირის მასპინძელმა იზეიმა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, ამ საჩემპიონო კაცმა ნახევარფინალში წაიფორხილა და კაკალაძის სარეპეშაჟო ადგილი თვითონ დაიკავა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### თავისუფალი

**კაცები**

**55 კგ**

1 ბესიკ კუდუხოვი (რუსეთი)
2 მარსელ ევალდი (გერმანია)
3 სეზარ აკგული (თურქეთი)
3 რადოსლავ ველიკოვი (ბულგარეთი)

5 ბესიკ გუჩაშვილი (საქართველო)

**60კგ**

1 ვასილი ფედორიშინი (უკრაინა)
2 ანატოლი გუიდეა (ბულგარეთი)
3 გერგო ვიოლერი (უნგრეთი)
3 თემის იაკოვიდისი (საბერძნეთი)

18 გიორგი ბალიაშვილი (საქართველო)

**66 კგ**

1 ალბერტ ბატიროვი (ბელარუსი)
2 ირბეკ ფარნიევი (რუსეთი)
3 სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი)
3 საჰინ რამაზანი (თურქეთი)

18 კობა კაკალაძე (საქართველო)

**74კგ**

1 მახაჩ მურთაზალიევი (რუსეთი)
2 გელა სალირაშვილი (საქართველო)
3 ემზარიოს ბენტინიდისი (საბერძნეთი)
3 ჩამსულვარა ჩამსულვარაევი (აზერბაიჯანი)

**84 კგ**

1 გიორგი კეტოევი (რუსეთი)
2 ტარას დანკო (უკრაინა)
3 არპად რიტერი (უნგრეთი)
3 სერჰატ ბალჩი (თურქეთი)

5 ლერი ქეთიშვილი (საქართველო)

**96კგ**

1 შირვან მურადოვი (რუსეთი)
2 რუსლან შეიხოვი (ბელარუსი)
3 გიორგი გოგშელიძე (საქართველო)
3 შამილ ჩიტინოვი (სომხეთი)

**120 კგ**

1 კურამაგომედ კურამაგომედოვი (რუსეთი)
2 სერგეი პრიადუნი (უკრაინა)
3 ალექსი მოდებაძე (საქართველო)
3 ფატიჰ საკიროღლუ (თურქეთი)



# 19-წლამდელთა მსოფლიოს თასი
ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია

# მართლა რა შორია ახალ ზელანდიამდე

**ბელფასტში** დასრულებულ 19-წლამდელთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონის სამესამედგილო მატჩი 5:24 წააგო აშშ-სთან და საბოლოო ვითარებით მსოფლიოში მე-16 გუნდად დაფუძნდა.

ეს მატჩი ალარაფერს წყვეტდა, რაკი იქამდე ქართველებმა B დივიზიონის ნახევარფინალი წააგეს კანადასთან და ელიტაში გადასვლა მინიმუმ გაისამდე გადაედოთ.

მსოფლიოს ჩემპიონი კი ახალი ზელანდია გახდა, რომელმა ელიტარული 12-გუნდა ჯგუფის ფინალში 31:7 მიანგრია სამხრეთ აფრიკა და 2000 წელს აქეთ ტიტულს მეოთხედ დაეუფლა.

ელიტიდან გავარდა მაჩანჩალა იაპონია, ხოლო გაისად მის ადგილს B დივიზიონის ჩემპიონი იტალია დაიკავებს. იტალიელებმა ელიტაში გადასასვლელ ფინალში, ქართველების მომგები კანადა 22:3 დაამარცხეს.

**ბაჩო სმანიძე**

**საბოლოო ვითარება**

| A ჯგუფი | | B ჯგუფი |
|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 1 | იტალია |
| ს. აფრიკა | 2 | კანადა |
| ავსტრალია | 3 | აშშ |
| უელსი | 4 | საქართველო |
| საფრანგეთი | 5 | ტონგა |
| ინგლისი | 6 | ურუგვაი |
| სამოა | 7 | ზიმბაბვე |
| არგენტინა | 8 | ჩილე |
| ირლანდია | 9 | რუმინეთი |
| შოტლანდია | 10 | რუსეთი |
| ფიჯი | 11 | ტაივანი |
| იაპონია | 12 | კუკის კ-ბი |



# ევროპის ჩემპიონატი
სტრასბური, საფრანგეთი. 16-22 აპრილი

**ქალები**

**+75კგ**

1 ოლგა კორობკო (უკრაინა) 293 კგ (133+160); 2 ეკატერინა შკურატოვა (ბელარუსი) 256 (116+140); 3 იულია დოვგალი (უკრაინა) 250 (115+140)

**კაცები**

**77კგ**

1 გევორგ დავთიანი (სომხეთი) 363 (166+197); 2 არა ხაჩატრიანი (სომხეთი) 361 (165+196); 3 ტანერ საგირი (თურქეთი) 353 (160+193)

**85კგ**

1 ვალერი კალანჩა (რუმინეთი) 373 (165+208); 2 იზეტ ინცე (თურქეთი) 373 (172+201); 3 ვალერი სტრელცოვი (ბელარუსი) 373 (172+201)

**94კგ**

1 შიმონ კოლეცკი (პოლონეთი) 395 (177+218); 2 რომან კონსტანტინოვი (რუსეთი) 393 (176+217); 3 ევგენი ბრატანი (მოლდოვა) 382 (173+209)

## ხელბურთი

# საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
## კაცები. მესამე წრე

# თელავში ხელბურთი დაბრუნდა

21 აპრილი

**სტუ-თელავი 54:31 ძარისხალა**

**სტუ-თელავი:** სამყურაშვილი, ბერძენიშვილი (გაიტანა 10 გოლი), გოგალაძე (7), გიორგი კობახიძე (7), გიორგი ჩიქოვანი (6), ირაკლი ჩიქოვანი (5), საჯაია (5), ტალახაძე (5), ელიზბარაშვილი (4), სიგუა (2), ყიფიანი (2), მსხვილიძე (1)
**ძარისხალა:** ქანთარია, მელქოშვილი (9), სხიერელი (7), ჯორბენაძე (5), ლობჟანიძე (4), ჯოხარიძე (3), მუმლაძე (2), ირაკლი ტორონჯაძე (1), ჩიხლაძე, სეთურიძე, ფერაძე, ჯობავა, ალიკო ამირანაშვილი, ოთარ ამირანაშვილი
**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი
**დელეგატი:** თამაზ ჩხარტიშვილი

შაბათს თელავში ახალასახელებიანი სახელბურთო გუნდის დებიუტი შედგა. ორი კლუბის — საქართველოს 16-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენისა" და „თელავის" გაერთიანების იდეა ორიოდე წლის წინათ გაჩნდა. ორჯერ ეს საქმე მცირე ორგანიზაციული შეფერხების გამო ვერ მოხერხდა, ახლა კი ყველაფერი მოგვარდა და ამიერიდან გუნდი „სტუ-შევარდენი-თელავის" სახელით გამოვა, თამაშების ოქმებში კი შემოკლებულად, „სტუ-თელავი" აღინიშნება.



ხელბურთი თელავში ყოველთვის პოპულარული იყო და იქაური გუნდები ეროვნულ სარბიელზე ურიგოდ არ ასპარეზობდნენ, მაგრამ ბოლო წლებში პრობლემებმა იმატა და აღნიშნული შერწყმის მიზანიც ისაა, რომ ამგვარად შეეწყოს ხელი რეგიონში სპორტის ამ სახეობის აღორძინება-აღმავლობას. ეს სასიკეთო საქმე უშუალოდ კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულ გია ნაცვლიშვილის მხარდაჭერითა და თანადგომით განხორციელდა.

იმასაც ვიტყვით, რომ გუნდი საშინაო მატჩებს თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტსკოლის კოხტა, კეთილმოწყობილ დარბაზში ჩაატარებს და ესეც, რა თქმა უნდა, დიდი ნაბიჯი იქნება ხელბურთის პოპულარობის აღსადგენად და ახალგაზრდების მოსაზიდად.

**გია ახალაძე** *თელავიდან*

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 13 | 11 | 1 | 1 | +167 | 23 |
| ხკ თბილისი | 13 | 11 | 1 | 1 | +159 | 23 |
| ძარისხალა | 12 | 4 | 1 | 7 | -39 | 9 |
| იმედი | 13 | 4 | 1 | 8 | -93 | 9 |
| სსსსუ-მამული | 13 | 0 | 0 | 13 | -194 | 0 |

## ცურვა

# ქართველების უხვი სტამბოლური

**ახალგაზრდა** სპორტსმენებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო საერთაშორისო ასპარეზობა ახლოვდება, მაგრამ იმ შეჯიბრებებისთვის თავის გამოსაცდელად მოსამზადებელ ტურნირებში მონაწილეობისთვის ჩვენი ათლეტები სახსრების ქრონიკული ნაკლებობას განიცდიან, მათ შორის მოცურავეებიც. არადა, ის „მნიშვნელოვანი და საინტერესო საერთაშორისო ასპარეზობები", ზემოთ რომ ვახსენეთ, გახლავთ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი და შავი ზღვის აუზის თამაშები, რომელიც წლეულს პირველად გაიმართება. ამას გარდა, მოცურავეებს ელით ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიც. ამ შეჯიბრებებისთვის უკეთ მოსამზადებლად ჩვენს მოცურავეებს სულზე მიუსწროთ მიწვევამ, რომელიც სტამბოლიდან, ათა თურქის სახელობის საერთაშორისო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტიდან მიიღეს. მასპინძლები ექვსი მოცურავის მგზავრობის გარდა ყველა ხარჯს საკუთარ თავზე იღებდნენ და ჩვენებმაც აღარ დაახანეს, მით უმეტეს, რომ სამგზავრო ხარჯები საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა იკისრა და, ეტყობა, ამ ხელგაშლილობის არც გაწბილდება.

შეჯიბრებაში მეტ ნაკლებად ჩვენი დონის აზერბაიჯანის, ბულგარეთის, მოლდოვას, თურქეთისა და სლოვენიის 1989-90 და 1991-92 წლებში დაბადებული მოცურავეები მონაწილეობენ. ორი დღის შემდეგ საქართველოს ექვსკაციანი გუნდის მონაგარი კი საკმაოდ მნიშვნელოვანია. უმცროსი ასაკის სპორტსმენებში 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში სოფო თევდორაძემ და ილია მანჯგალაძემ ორი ოქროს მედალი მოიპოვეს.

ამავე დისციპლინებში ლაშა მეტრეველი მეორე და მესამე იყო, ასეთივე წარმატებით გამოვიდა ბესარიონ მღივანი, ხოლო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დავით ოქროპირიძე მესამე იყო.

ამას გარდა, ჩვენმა ბიჭებმა ვერცხლი დაიმსახურეს 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში, ხოლო 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მესამე ადგილზე გავიდნენ.

1991-92 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოქროს მედლები მოიპოვა გიგი მთვრალაშვილმა და, ეტყობა ჩვენი მოცურავეები ამ ნადავლს კიდევ რამდენიმე ჯილდოს დაუმატებენ.

**ავთანდილ ბუზიშვილი**

## ჩოგბურთი

**მონტე კარლოს მასტერსი. კაცები. თიხნარი. საპრიზო 2 200 000 $**

# მონაკოს თავადი რაფაელ ნადალი

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ხუან-კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (10, ჩეხეთი) 6:0 7:5

**ფინალი**

**ნადალი** — ფედერერი 6:4 6:4

**თითქოს** ამ ერთი წლის განმავლობაში არც არაფერი შეცვლილიყოს — თიხნარის სეზონი დაიწყო და ნათლად გამოჩნდა, რომ შარშან დაწყებულ ჯახს რაფაელ ნადალსა და როჯერ ფედერერს შორის, წლეულს აუცილებლად ექნება გაგრძელება და წესით, გასულ სეზონზე ნაკლებად დაძაბულად არ უნდა წარიმართოს.

მონტე კარლოში შარშანდელი ფინალის გადამღერება ვნახეთ და რომ შედეგიც შარშანდელი მივიღეთ. თანამედროვე ჩოგბურთის უპირობო პირველკაცმა ვერც ამჯერად მოუხერხა რამე თიხნარზე ამ საფარის "მეფედ" წოდებულ მალიორკელ ვარსკვლავიჭუნას — ნადალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გრუნტზე მისი დარი ჩოგნის მქნეველი დღესდღეობით არ არსებობს. ესპანელმა მთელი კვირა იფრინა და სვლა არც ფინალში შეანელა, ძალიან დამაჯერებლად მოუგო რა "მხიარულ როჯერს". ალპელს ჰქონდა ბრეიკპოინტები, მაგრამ მატჩის მიმდინარეობისას მაინც აშკარად იგრძნობოდა, რომ ესპანელი სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო.


AFP მონტე კარლოდან

ნადალი ამ გამარჯვების შემდეგ 7:3 დაწინაურდა ფედერერთან ურთიერთშეხვედრებში, ხოლო თიხნარზე ხუთიდან ხუთჯერვე დაამარცხა.

20 წლის ესპანელი მხოლოდ მეორე ჩოგბურთელია, ვინც ევროპის ამ პატარა სათავადოში ზედიზედ სამჯერ აზერხებს გამარჯვებას. აქამდე იგივე მხოლოდ რუმინელ ილიე ნასტასეს გაუკეთებია 1971-73 წლებში. სამჯერ კი მონტე კარლოში, კიდევ მხოლოდ ორ დიდ ჩოგნის მქნეველს — ბიორნ ბორგსა (1977, 1979-80წწ) და 90-იანი წლების გრუნტის უმთავრეს სპეციალისტ ტომას მუსტერს (1992, 1995-96წწ) — მოუგია.

რაფამ გრუნტზე წაუგებელი მატჩების სუპერსერია უკვე 67-მდე აიყვანა. ნადალმა ბოლოს 2005 წელს ვალენსიაში წააგო იგორ ანდრეევთან — იქიდან მოყოლებული კი 47 სხვადასხვა ოპონენტსა და 21 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელს მოუგო.

**კახა ლომაშვილი**

## ჰოკეი

**პლეი ოფი. პირველი წრე**

### აღმოსავლეთი

**ბუფალო 4:1 აილენდერსი**

მეხუთე მატჩი

**ბუფალო 4:3 აილენდერსი**

*1:0 2:0 1:3*

1:0 სტაფორდი (16, კონოლი, მეირი), 2:0 პომინვილი (21, ბრიარი), 3:0 როი (32, კოტალიკი, აფინოგენოვი), 3:1 შატანი (45, კამპოლი, ბლეიკი), 4:1 აფინოგენოვი (47, ვანეკი), 4:2 პანტერი (50, ფერვე, სმიტი), 4:3 კამპოლი (54, პარკი, შატანი)

**ნიუ ჯერსი 3:2 ტამპა**

მეხუთე მატჩი

**ნიუ ჯერსი 3:0 ტამპა**

*1:0 1:0 1:0*

1:0 გრინი (13, რაპი, გომესი), 2:0 ჯიონტა (30, გომესი, რაფალსკი), 3:0 გომესი (59, ცარ. კარში, ელიაში)

### დასავლეთი

**დეტროიტი 3:2 კალგარი**

მეხუთე მატჩი

**დეტროიტი 5:1 კალგარი**

*0:0 3:0 2:1*

1:0 კლირი (24, ბულიტით), 2:0 ზეტერბერგი (29, უმრ. ლიდსტრომი, შნაიდერი), 3:0 ჩელიოსი (31, უმც. ფრანცენი, ლიდსტრომი), 4:0 ზეტერბერგი (46), უმრ. დაციუკი, ლიდსტრომი), 4:1 ზიუზინი (51), უმც. ლომბარდი, კონროი), 5:1 დაციუკი (56, უმრ. ლიდსტრომი, ზეტერბერგი)

**ვანკუვერი 3:3 დალასი**

მეექვსე მატჩი

**დალასი 2:0 ვანკუვერი**

*1:0 0:0 1:0*

1:0 მოდანო (4, უმრ. ზუბოვი, რიბეირო), 2:0 პალპერნი (48, უასისტენტოდ)

**ნეშვილი 1:4 სან ხოსე**

მეხუთე მატჩი

**ნეშვილი 2:3 სან ხოსე**

*0:1 2:1 0:1*

0:1 კლოუ (9, ბერნიე, გოჩი), 1:1 არნოტი (24, უმრ. ვებერი, ტიმონენი), 2:1 ფიდლერი (25, ფორსბერგი, ზენონი), 2:2 მარლო (38, უმრ. გერინი, რივე), 2:3 მარლო (56, ტორნტონი, პენენი)

## ძიუდო

# ქალის ფვირთი
## ოთხ-ოთხი მედალი კაუნასსა და ანკარაში

**საქართველოს** ქალ ძიუდოისტთა ნაკრების წევრებმა ბოლო ორი კვირის მანძილზე კაუნასისა და ანკარის საერთაშორისო ტურნირები საკმაოდ წარმატებულად მოილიეს.

კაუნასში 20 წლამდე გოგონებმა იასპარეზეს და ოთხი მედალიც მოიპოვეს. ჩემპიონი 63 კგ-ში თინათინ ქულოსაშვილი გახდა, ვერცხლი დუსკა ქერიმოვამ (57 კგ) ირგუნა, ბრინჯაოს მედლები კი ნათია როსტომაშვილმა (48კგ) და მარი ჩადუნელმა (+78) დაისაკუთრეს.

ანკარაში ჩატარებულ მსოფლიო თასზე კადეტებმა მიიღეს მონაწილეობა. უფროსებს არც ისინი ჩამორჩნენ და მათაც ოთხი მედალი მოინაგრეს. მეტიც, კადეტებმა ერთით მეტი ოქრო ჩაუშვეს ჯულაბაში. თურქეთში ნაია ვეშაგურმა (48კგ) და მაია ტარუაშვილმა (57) იჩემპიონეს. ბრინჯაოსნები კი მარი ოქრიაშვილი (75კგ) და ნათია როსტომაშვილი (52კგ) გახდნენ.

როსტომაშვილმა ორივეგან იჭიდავა, თანაც კაუნასის ტურნირის შემდეგ ერი წონით მაღლა აიწია და არც იქ შეურცხვენია თავი.

ქალი ძიუდოისტები ანკარადან პირდაპირ დანიაში გაემგზავრებიან, სადაც უმნიშვნელოვანესი ტურნირი ელით. იქ საპეკინო ლიცენზიების გათამაშება დაიწყება. დანია ტურნირს 27-28 აპრილს უმასპინძლებს.

**ლექსო მაისურაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი რალიში. IV ეტაპი (II წრიული). რუსთავი. 22 აპრილი

# თავართქილაძე ბოლოდანაც იგებს

**28 წლის** ოთარ თავართქილაძის აბსოლუტური გამარჯვებით დასრულდა ავტორბოლაში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი. ისე, „რუსთავრინგზე" გუშინდელი გაჯიბრება მეორე წრიული ეტაპი იყო, ხოლო სეზონის საერთო კალენდარში უკვე მეოთხე გახლდათ.

ბრძოლაში 15 პილოტი უნდა ჩაბმულიყო, მაგრამ პრობლემების გამო სტარტზე მხოლოდ ცხრანი გავიდნენ.

კვალიფიკაცია ვეტერანმა ზურაბ ბექაშვილმა მოიგო და 25-კილომეტრიანი დისტანციის ნახევარზე მეტსაც ლიდერობდა, მერე კი თავართქილაძემ ბოლო, ფინიშისწინა მოსახვევში ოსტატურად აუარა გვერდი და დიდი სხვაობითაც გაიმარჯვა. მესამე ადგილზე მევლუდ მელაძე გავიდა.

მეორე რბოლის დასაწყისში მძღოლები რევერსულად ანუ ჰანდიკაპით განლაგდნენ — თავართქილაძე მერვე იდგა, ბექაშვილი — მეშვიდე, მელაძე მეექვსე.

თავიდან გიორგი ოგბაიძე დაწინაურდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო, მოსახვევში „ჰონდა" მოუსრიალდა და იმდენი დრო დაკარგა, რომ პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდა. წინ კვლავ თავართქილაძე გაიჭრა და დავით ქაჯაიას უმწვავესი წინააღმდეგობის მიუხედავად, პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მესამე ბექაშვილი იყო.

ამრიგად, ორი ეტაპის შემდეგ მაქსიმალური, 40 ქულით თავართქილაძე („ჰონდა CRX") ლიდერობს, შემდეგ მოდიან მელაძე (სიტროენ -საქსო") — 25, ბექაშვილი („ჰონდა-სივიკი") — 22, ქაჯაია („ჰონდა") — 20...

მესამე ეტაპი 20 მაისს გაიმართება.

**გია ახალაძე რუსთავიდან**



მეორე წრიული ეტაპის პოდიუმი: დავით ქაჯაია, ოთარ თავართქილაძე და ზურაბ ბექაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი 23 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 15 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | ინგლისი. კონფერენსი 23 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 54 | რაშდენი -ნორთვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა 23 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 68 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა 23 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 105 | ჰანზა-კარლსრუე | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | იტალია. სერია B 23 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 172 | ჩეზენა-ალბინოლეფე | 2.10 | 2.60 | 4.00 | 1.16 | 1.37 | 1.57 |
| 23:00 | 173 | ბარი-მანტოვა | 2.70 | 2.50 | 2.90 | 1.29 | 1.39 | 1.34 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 23 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 240 | სტრასბური-რეიმსი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა 23 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 22:45 | 576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| | | ჩეხეთი 23 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 345 | სპარტა-სლავია | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 23 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 378 | სტრომსგოდსეტ-ლილესტრომი | 3.40 | 3.30 | 2.00 | 1.67 | 1.25 | 1.24 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა 23 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 394 | ბრომაპოიკარნა-გოთენბორგი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 395 | ელფსბორგი-გეფლე | 1.45 | 3.80 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.37 |
| 21:00 | 396 | გაის-იორებრო | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 397 | აიკ-ჰამარბი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | შვედეთი. სუპერეტა 23 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 404 | ბანკეფლო-იოსტერსი | 3.90 | 3.40 | 1.75 | 1.81 | 1.20 | 1.15 |
| 21:00 | 405 | სილვია-ლანდსკრონა | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | ფინეთი 23 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 413 | ჰაკა-ინტერი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | ჩემპიონთა ლიგა 24 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 474 | მანჩესტერი-მილანი | 1.90 | 3.20 | 4.20 | 1.19 | 1.30 | 1.81 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 475 | ჩელსი-ლივერპული | 2.05 | 3.00 | 3.80 | 1.21 | 1.33 | 1.67 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 3.40 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.52 | 1.15 |
| 10068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10240 | სტრასბური-რეიმსი | 1.85 | 2.40 | 5.80 | 1.04 | 1.40 | 1.69 |
| 10474 | მანჩესტერი-მილანი | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10475 | ჩელსი-ლივერპული | 2.40 | 2.00 | 4.10 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.80 | 2.50 | 5.80 | 1.04 | 1.37 | 1.74 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11240 | სტრასბური-რეიმსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11474 | მანჩესტერი-მილანი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11475 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.50 | 2.20 |
| 12240 | სტრასბური-რეიმსი | 1.60 | 2.00 |
| 12474 | მანჩესტერი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12475 | ჩელსი-ლივერპული | 1.55 | 2.20 |
| 12575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 1.60 | 2.00 |
| 12576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.90 | 1.70 |
| 13240 | სტრასბური-რეიმსი | 1.90 | 1.70 |
| 13474 | მანჩესტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13475 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 1.90 | 1.70 |
| 13576 | ბრაგა-სეტუბალი | 2.10 | 1.55 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.80 |
| 14068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.80 | 2.00 |
| 14240 | სტრასბური-რეიმსი | 1.30 | 2.50 |
| 14474 | მანჩესტერი-მილანი | 1.70 | 2.20 |
| 14475 | ჩელსი-ლივერპული | 1.75 | 2.10 |
| 14575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 1.80 | 2.00 |
| 14576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | სტრასბური-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15474 | მანჩესტერი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15576 | ბრაგა-სეტუბალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.05 | 1.65 |
| 16068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.55 | 2.20 |
| 16240 | სტრასბური-რეიმსი | 1.17 | 4.10 |
| 16474 | მანჩესტერი-მილანი | 1.34 | 2.80 |
| 16475 | ჩელსი-ლივერპული | 1.45 | 2.45 |
| 16575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 1.58 | 2.10 |
| 16576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.12 | 4.60 |

### გოლი:წყვილი-კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17015 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | სტრასბური-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17474 | მანჩესტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17475 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17575 | ბეირა მარი-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17576 | ბრაგა-სეტუბალი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18474 | მანჩესტერი-მილანი | 1.60 | 2.30 |
| 18475 | ჩელსი-ლივერპული | 1.60 | 2.30 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# მაურინიუ დარჩება! ლონდონში ჭკუას მოუხმეს



„სარბიელის“ მკითხველმა იცის, რომ ჟოზე მაურინიუმ „ჩელსის“ მწვრთნელობის შეხანარჩუნებლად პოზიციები დათმო და კლუბის ხელმძღვანელობას, უფრო სწორად კი, პრეზიდენტ რომან აბრამოვიჩს ახალი გენერალური მენეჯერისა და რამდენიმე დამხმარე მწვრთნელის მოყვანაზე ყაბული უთხრა. და აი, როგორც ინგლისური ყოვლისმცოდნე „სანი“ იუწყება, დათმობამ შედეგი გამოიღო — ჟოზე მაურინიუს „ჩელსიში“ ტოვებენ.

კაცმა რომ თქვას, ის, რომ აბრამოვიჩი მაურინიუს თანამდებობაზე ტოვებს, პორტუგალიელის დათმობაზე მეტად იურგენ კლინსმანის უარის შედეგია. გეხსომებათ, როგორ ცდილობდა რუსი ოლიგარქი გერმანელის ამერიკიდან გამოტყუებას — წელიწადში 6,4 მილიონ გირვანქას ხთავაზობდა — მაგრამ 42 წლის კლინსიმ შეუთვალა, მე და ჩემი ოჯახი ლოს ანჯელესს ისე მოვერგეთ, ამერიკაში თავს ისე წყნარად ვგრძნობთ, რომ ლონდონში „ჩელსის“ საწვრთნელად ნამდვილად ვერ გადმოვალო. აბრამოვიჩს, როგორც ნამდვილ რუს ბიზნესმენს, ასეთი პასუხი ვაჭრობის ხერხი ეგონა (ხომ გაგიგონიათ ანეკდოტი, მასპინძელი სტუმარს თავის ქალაქში მეძავების ფასებს რომ აცნობს და ყველა ქალზე, ამდენი და იმდენი ღირსო, რომ ეუბნება. მერე სტუმარმა ჰკითხა, კი მაგრამ თქვენთან პატიოსნი არავინ ცხოვრობსო? როგორ არა, მაგრამ ისინი ძალიან ძვირი ღირანო, იყო პასუხი) და შეთავაზება 6,4 მილიონიდან 7 მილიონამდე გაზარდა, მაგრამ ატლანტის ოკეანის იქითა ნაპირიდან ისევ უარი ჩამოვიდა. აი, ამის შემდეგ შემოტრიალდა საქმე მაურინიუს სასიკეთოდ.

ასე და ამგვარად, გასულ ოთხშაბათს, „ვესტ ჰემის“ 4:1 ძლევის შემდეგ „ჩელსის“ პორტუგალიელი თავკაცი კლუბის აღმასრულებელ შეფ პიტერ კინიონს შეხვდა, ხოლო მეორე დღეს — აბრამოვიჩის მარჯვენა ხელს იუჯინ (ევგენი) ტენენბაუმს.

„ამ თემაზე ძალიან ბევრი ლაპარაკი იყო და ამიტომ მინდა, ყველას გასაგონად განვაცხადო, ჩვენ ჟოზე მაურინიუს დატოვება გვსურს. ჟოზეს „ჩელსისთან“ 2010 წლემდე აქვს კონტრაქტი და გვინდა, ამ ვადის ამოწურვამდე იმუშაოს ჩვენთან. ვიმეორებ, მისი გაშვება არ გვსურს, ჩვენ მას მხარს ვუჭერთ“ — განაცხადა პიტერ კინიონმა, საზოგადოებისთვის კი ცნობილი გახდა, რომ ერთი „წინასწარი სამუშაოების“ შემდეგ მაურინიუს უკვე თვით აბრამოვიჩს შეახვედრებენ და ეს ორი კაცი უშუალო საუბარში გაარკვევს, ზუსტად რა და როგორ უდნა მოხდეს.

და ისევ კინიონი: „ხოლო, რაც შეეხება ჯონ ტერისა და ფრენკ ლამპარდის კონტრაქტებს, მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა. საერთოდაც, მინდა ერთი რამ განვმარტო — საკონტრაქტო მოლაპარაკებებისას არსებობს ორი მნიშვნელოვანი მომენტი: დასაწყისი და დასასრული. ამწუთას ჩვენ ტერისა და ლამპარდის კონტრაქტებზე მუშაობის შუაში ვართ და კიდევ, არ გვინდა, ამ თემებმა ყველაზე მნიშვნელოვანი, მიმდინარე შეჯიბრებების მოგება გადაგვავიწყოს. ამ მოსაზრებას ტერი და ლამპარდიც იზიარებენ“.

**პაპუნა ძიდია**



# აბრამოვიჩს შევხვდი, ოღონდ უჩელსოდ

**რუსეთის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ერთხელაც გამორიცხა მისი „ჩელსიში“ გადასვლა. ჰოლანდიელს ბოლო პერიოდში ხშირად უკავშირებდნენ ლონდონელებს, ჟოზე მაურინიუსა და რომან აბრამოვიჩის ცუდი ურთიერთობის გამო.

„ლამისაა, „ჩელსის“ უკვე ყოველდღე დამაკავშირონ, მაგრამ ეს უსაფუძვლო ჭორებია. ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთის ნაკრებს ვწვრთნი, ლონდონელთა მფლობელი რომან აბრამოვიჩი კი რუსია. სიმართლე გითხრათ, მას მართლა შევხვდი, მაგრამ „ჩელსიზე“ არ გვილაპარაკია. რუსეთის ნაკრებთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. იმედია, ევროპის ჩემპიონატზე გავალთ და თანამშრომლობას გავახანგრძლივებთ“ — აღნიშნა ჰიდინკმა.

**კოკი კანდელაკი**

## უბილეთოებო, დარჩით სახლში!

**საბერძნეთის** პოლიცია აფრთხილებს იმ ინგლისელ ქომაგებს, რომლებიც ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალზე სტუმრობას აპირებენ, უბილეთოები ნუ ჩამოხვალთო. ფინალში კი ინგლისური გუნდი აუცილებლად იქნება, რადგან ნახევარფინალში „ჩელსი“ და „ლივერპული“ თამაშობენ. მეორე წყვილი „მანჩესტერი“ — „მილანია“ და გამორიცხული არაა, სულაც ინგლისური ფინალი გამოვიდეს, ამიტომაცაა აფორიაქებული და შეწუხებული ათენის პოლიცია.

„უბილეთოები არ ვნახო ათენში! — თქვა პოლიციის გენერალმა ანასტასიოს დიმოსაკისმა. ჩემპიონთა ლიგის მთავარი მატჩის უსაფრთხოებას რამდენიმე ათასი ფორმიანი უზრუნველყოფს, მათ შორის, ათენში სხვადასხვა ქალაქიდან ჩასულნი.

## შუსტერის ვალენსიური მისამართი

**თვეზე** მეტია, „ხეტაფეს“ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს ფაბიო კაპელოს შემცვლელად ასახელებენ და ზოგიერთი წყარო იმასაც ამტკიცებს, გერმანელმა „რეალთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმაო. ესპანურმა „სპორტმა“ კი დაწერა, რომ შუსტერი მადრიდში კი არა, „ვალენსიაში“ აღმოჩნდება, რადგან იგი უკვე ეძებს სახლს ამ ქალაქში.

„სპორტის“ ცნობით, „ღამურები“ კიკე სანჩეს ფლორესის გათავისუფლებას აპირებენ — მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან „ჩელსიმ“ გააძევა, ხოლო გუშინწინ „რეალთან“ დამარცხდა და პრიმერადივიზიონში ჩემპიონობის შანსი მოესპო.

## რუნის აღმზრდელი უჩივის

**„ევერტონის“** მწვრთნელი დევიდ მოიესი ყოფილ შეგირდს უეინ რუნის სასამართლოში უჩივის და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 300 ათას გირვანქას ითხოვს. შარშან რუნიმ, რომელიც ახლა „მანჩესტერის“ ფეხბურთელია, ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა — „ჩემი ცხოვრების“ ისტორია. წიგნში ბიჭი წერს, რომ მოიესი სხვებს უყვებოდა მწვრთნელისა და ფეხბურთელის პირადი საუბრების შინაარსს, რამაც გადააწყვეტინა „ევერტონიდან“ წასვლა.

დევიდ მოიესი ამტკიცებს, რომ უეინის წიგნმა მას რეპუტაცია შეუბღალა და ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია. „ევერტონის“ მწვრთნელი რუნის გარდა თანაავტორ ჰანტერ დევისის და გამომცემელ ჰარპერ კოლინსის დასჯასაც ითხოვს. ფეხბურთელი ყოფილი მწვრთნელის სარჩელთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერს ამბობს.

## დროგბამ გარეპა

**„ჩელსის“** და პრემიერლიგის საუკეთესო მეგოლე დიდიე დროგბა სიმღერასაც ასწრებს. კოტდივუარელი ფეხბურთელი რეპერი ყოფილა და მალე ალბომსაც გამოუშვებს.

„სანის“ ცნობით, დროგბას ძალიან უყვარს მუსიკა. ამას წინათ, „ჩელსიმ“ მისი საყვარელი სიმღერების ალბომი გამოსცა, ახლა კი თვითონ ფეხბურთელი იმღერებს მეტსახელით „დროგბასაიტი“. ტექსტებს სნუპ დოგის სტილში წაიკითხავს.

„ეს იქნება ტექსტები ჩემი წარმატების შესახებ. მუსიკა განსაკუთრებით თამაშის წინ მეხმარება და გასახდელშიც ვუსმენ“ — თქვა კოტდივუარელმა.

ჯერ კიდევ 2005 წლის ბოლოს უნდოდა დროგბას ალბომის ჩაწერა და ამ საქმეში ჩაუზიარდნენ ნიკოლა ანელკა და რეპერი დოკა გინეკო. ეტყობა, ჩელსელს მოეწონა ეს საქმე და ამიტომ გადაწყვიტა ცალკე ჩაწერა.

**მაშა ხუციშვილი**

# ვენგერი თავს თავად დაიდგამს

**ლონდონის** „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ „მეთოფეების“ მომავალ ვიცე-თავმჯდომარე პირადად აირჩევს. შეგახსენებთ, რომ კლუბის ყოფილი ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გადადგა.

„რა თქმა უნდა, კლუბს ახალი ვიცე-თავმჯდომარე ეყოლება და მას პირადად ავირჩევ. ეს რაც შეეხება, ჩქარა უნდა გავაკეთო, რადგან ახლა ორი კაცის საქმის კეთება მიწევს. აქამდე თავს მშვენივრად ვგრძნობდი, მხოლოდ ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული, ახლა კი დევიდის შეცვლა და შავი სამუშაოს კეთებაც მიწევს, ეს ძალიან რთულია, მით უმეტეს, „არსენალისნაირ“ დიდ კლუბში“ — განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა.

ამასობაში გრძელდება ლაპარაკი „არსენალში“ ამერიკელი ინვესტორების შესაძლო მისვლის შესახებ. ბრიტანული პრესის ცნობით, ამას ბევრი ეწინააღმდეგება, მათ შორის, ვენგერიც, მაგრამ მან ეს ინფორმაცია უარყო.



„უცხოელი მფლობელების წინააღმდეგი არ ვარ. მე თავად ვარ უცხოელი და კლუბში მრავალი არაინგლისელი მოთამაშეა. უცხოელი ინვესტორების წინააღმდეგი როგორ უნდა ვიყო? თუმცა ყველაფერს თავისი წესი აქვს და თუ მართლაც მოვლენ ამერიკელები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წავალ. პრესაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა“ — დასძინა ვენგერმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სავიოლას ნაბიჯი ბარსას ნაბიჯს ელის



**„ბარსელონასა“** და ხავიერ სავიოლას შორის ახალ კონტრაქტზე ახალი არაფერი ისმის. ამიტომ, ორმაგი ენერგიით ალაპარაკდნენ, „ბაჭია“ სეზონის ბოლოს გუნდს გამოიცვლისო.

ესპანური პრესის ცნობით, სავიოლას ხელში ჩაგდება „ვილიარეალს“ განუზრახავს. „ყვითლებს“ მისთვის ოთხწლიანი კონტრაქტი და სეზონში 2 მილიონი ევრო შეუთავაზებიათ. ბერძნული ჟურნალ-გაზეთები კი იუწყებიან, რომ ზუსტად იგივე პირობებს სთავაზობს სავიოლას „ოლიმპიაკოსი“.

არგენტინელი სურს ტურინის „იუვენტუსსაც“.

„ჩემს მომავალზე უკვე აქტიურად დავიწყე ფიქრი, რადგან „ბარსელონას“ კონტრაქტის გახანგრძლივება ჯერ არ შემოუთავაზებია, დრო კი ცოტაა. სამაგიეროდ, რამდენიმე წინადადება მივიღე სხვადასხვა ქვეყნის კლუბებისგან. სანამ „ბარსას“ ფეხბურთელი ვარ, მოლაპარაკებების დაწყებას და ვინმესთან შეთანხმებას არ ვაპირებ. როგორც მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი ამბობს, მას უნდა, რომ დავრჩე, მაგრამ კლუბს ჯერჯერობით ნაბიჯი არ გადმოუდგამს, ხელმძღვანელობისგან არაფერი ისმის“ — განაცხადა სავიოლამ.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ვიაროთ ერთად

## ფაბიო კაპელოს ფინალური წრე

მადრიდის „რეალი“ ჩემპიონობის შანსებს კიდევ ინარჩუნებს — ფაბიო კაპელოს ბიჭებმა შაბათს „ვალენსიასთან“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და დონ ფაბიოს „საფინალო სერიაც“ გრძელდება.

იტალიელი მწვრთნელი თვლის, რომ დარჩენილ 7 ტურში მისი შეგირდები მედგრად იბრძოლებენ და ნანატრი ჯილდოც „რეალისთვის“ ოდენ ოცნებად აღარ დარჩება...

— რას გვეტყვით მატჩზე?

— კარგად ვითამაშეთ და რთული მატჩი მოვიგეთ. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა გამარჯვებისთვის მიგვეღწია.

— კიკე სანჩეს ფლორესმა განაცხადა, რომ საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მოედანი დაგატოვებინეს, მაგრამ...

— არ გავუძევებივარ! მეოთხე არბიტრს რაღაც ვუთხარი, მაგრამ არავის გავუძევებივარ. არაფერიც არ მომხდარა. ვხედავდი, რომ მსაჯი თავის ასისტენტთან თათბირობდა, თუმცა, როგორც თავად ნახეთ, სკამზე მატჩის ბოლომდე დავრჩი.

— „ვალენსიას“ ფეხბურთელები ამბობენ, რომ დავიდ სილვას წაქცევისას პენალტი უნდა დანიშნულიყო. თქვენ რას ფიქრობთ?

— ვერაფერს გეტყვით, ასეთ რამეებზე კომენტარებს არ ვაკეთებ.

— თქვენი გუნდი მოგეწონათ?

— ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. უფრო მეტიც უნდა გაგვეტანა, თუმცა შანსები ხელიდან გავუშვით.

— თუმცა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „რეალმა“ პირველი გოლის გატანის შემდეგ იერიშებზე აღარ იზრუნა და თავის ნახევარზე ჩაიკეტა. დაახლოებით ისე, როგორც წინა ტურში მოხდა „რასინგთან“...

— „რასინგთან“ უკან არ დაგვიხევია... დღეს კი საკმაოდ რთული მეტოქე გვყავდა, რომელსაც ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს და ამიტომაც გაგვიჭირდა. ყოველთვის იმაზე ხომ არ ვიფიქრებთ, რომ მეტოქის საჯარიმოში ვიყოთ...

— თვლით, რომ ლა ლიგის მოგების შანსები გაიზარდა?

— ჩვენ არ გავჩერდებით. როგორც „ვალენსიასთან“ ვითამაშეთ, ასე უნდა გავაგრძელოთ და ნებისმიერი მატჩი ფინალად უნდა ჩავთვალოთ.

— დევიდ ბექჰემის და გუტის მოედანზე გამოჩენამ „რეალი“ ფრიად გააძლიერა...

— გუნდი პირველ ტაიმში გაგოსთან და იგუაინთან ერთადაც კარგად თამაშობდა. მეორე ტაიმში ტემპი დაეცა, უფრო მეტი სივრცე გამოჩნდა და გუტიმ და ბექჰემმაც კარგად ითამაშეს.

# ლიონის რეკორდ-ჩემპიონობა!

„ლიონი“ ზედიზედ მეექვსედ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. ოფიციალურად ეს შაბათ-ღამით გაფორმდა, მას მერე, რაც „ლომების“ უახლოესმა მდევარმა „ტულუზმა“ სტუმრად „რენთან“ 2:3 წააგო და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ჟერარ ულიეს შეგირდები მიუწვდომელნი გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ევროპის დიდსაფეხბურთო ქვეყნების რეკორდია — აქამდე მიჯრით ექვსჯერ ჩემპიონი არავინ გამხდარა. გავიხსენოთ ისიც, რომ ამ ექვს წარმატებამდე „ლიონი“ ქვეყნის ჩემპიონი არასოდეს ყოფილა. პირველად ეს ტიტული „ლომებმა“ ჟაკ სანტინის ხელში მოიპოვეს. შემდეგ სამჯერ — პოლ ლე გუენის, ხოლო ორჯერ ულიეს თაოსნობით.

„შესაძლოა, ყველა იმ მიზანს ვერ მივაღწიეთ, რასაც სეზონის წინ ვისახავდით. თუმცა ზედიზედ მეექვსედ გავხდით ჩემპიონები და ეს ისტორიული მოვლენაა“ — თქვა ულიემ.

**კოკი კანდელაკი**

# გეკასი ფარმაცევტია

**გერმანული** „ბოხუმის“ ბერძენი ფორვარდი თეოფანის გეკასი მომავალი სეზონიდან „ლევერკუზენში“ ითამაშებს — „ფარმაცევტებმა“ თავდამსხმელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ეს ამბავი ლევერკუზენელთა სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა შაბათს, „ნიურნბერგთან“ მოგების შემდეგ დაადასტურა. გეკასმა კი „ანტრახტთან“ შეხვედრაში სეზონში მე-18 გოლი შეაგდო და ბუნდესლიგის ბომბარდირია.

ფიოლერს არ უთქვამს, რამდენი გადაიხადეს ბერძენის სანაცვლოდ, მაგრამ გერმანული მედიის ცნობით თანხა დაახლოებით 2 მილიონ 700 ათასი ევროა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ნორვეგია

### ტიპელიგა. III ტური

სტაბეკი — რუსენბორგი 2:1; ალესუნდი — ფრედრიკსტადი 3:3; ლინი — ოდ გრენლანდი 3:1; ტრომსიო — სტარტი 1:1; ვიკინგი — სანდეფიორდი 0:0; ბრანი — ვოლერენგა 4:1. სტრიომსგოდსეტი — ლილესტრიომი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ლილესტრიომი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ლინი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| სტარტი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ტრომსიო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სანდეფიორდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სტაბეკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ფრედრიკსტადი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ვიკინგი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| სტრიომსგოდსეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ვოლერენგა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ალესუნდი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:10 | 1 |
| ოდ გრენლანდი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

### I დივიზიონი. III ტური

ჰამ კამი — ბოდიო გლიმტი 2:3; ჰიონეფოსი — ჰაუგესუნდი 1:1; მანდალი — ტრიომსდალენი 1:3; მოსი — ბრინი 4:0; ნოტოდენი — ლოვ ჰამი 3:0; სკეიდი — კონგსვინგერი 1:3; სოგნდალი — რაუფოსი 2:1; სპარტა — მიოლდე 1:2

## შვედეთი

### ალსვენსკა. III ტური

იურგორდენი — ჰელსინგბორგი 3:1; ჰალმსტადი — კალმარი 2:1; ტრელებორგი — მალმიო 2:1. ბრომაპოიკარნა — გოტებორგი, ელფსბორგი — გეფლე და გაის — იორებრო დღეს გაიმართება, აიკ — ჰამარბი ხვალ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| კალმარი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ჰალმსტადი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ჰამარბი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ტრელებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ბრომაპოიკარნა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აიკ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ელფსბორგი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| იორებრო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გოტებორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გაის | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გეფლე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

### სუპერეტა. II ტური

ატვიდაბერგი — სირიუსი 1:2; დეგერფორსი — იონკოპინგი 0:1; ენჩიოპინგი — სუნდსვალი 1:0; ლიუნგსკილე — იორგრიტე 0:1; მიალბი — ნორჩიოპინგი 0:0. ბანკეფლო — ოსტერსი და სილვია — ლანდსკრონა დღეს გაიმართება

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XXIX ტური

კალამარია — ატრომიტოსი 1:0; ეგალეო — ირაკლისი 0:1; ერგოტელისი — ლარისა 2:0; იონიკოსი — აეკ 1:5; ოლიმპიაკოსი — კერკირა 3:1; პანათინაიკოსი — არისი 0:1; პანიონიოსი — პაოკ 3:1; ქსანთი — ოფი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 28 | 21 | 4 | 3 | 56:19 | 67 |
| აეკ | 28 | 18 | 7 | 3 | 59:24 | 61 |
| პანათინაიკოსი | 28 | 16 | 4 | 8 | 44:25 | 52 |
| არისი | 28 | 10 | 13 | 5 | 28:22 | 43 |
| პაოკ | 28 | 12 | 6 | 10 | 30:27 | 42 |
| პანიონიოსი | 28 | 11 | 9 | 8 | 29:27 | 42 |
| ოფი | 28 | 11 | 6 | 11 | 38:43 | 39 |
| ერგოტელისი | 28 | 10 | 6 | 12 | 26:27 | 36 |
| ქსანთი | 28 | 8 | 11 | 9 | 23:20 | 35 |
| კალამარია | 28 | 9 | 8 | 11 | 24:31 | 35 |
| ატრომიტოსი | 28 | 8 | 10 | 10 | 36:42 | 34 |
| ლარისა | 28 | 8 | 8 | 12 | 27:36 | 32 |
| კერკირა | 28 | 7 | 10 | 11 | 27:33 | 31 |
| ირაკლისი | 28 | 8 | 5 | 15 | 22:33 | 29 |
| ეგალეო | 28 | 7 | 6 | 15 | 26:41 | 27 |
| იონიკოსი | 28 | 2 | 3 | 23 | 11:56 | 7 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## ხორვატია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

ციბალია — ვარტექსი 1:0; კამენი — დინამო 0:1; მედიმურიე — ზაგრები 2:4; პულა — ოსიეკი 3:1; სლავენი — ზაგრები 4:2; შიბენიკი — რიეკა 3:1

## დანია

### სუპერლიგა. XXVI ტური

მიდტიულანდი — რანდერსი 2:1; ესბიერგი — სილკებორგი 1:2; ნორდსიელანდი — ოდენსე 2:1; ვაილე — ბრონდბიუ 3:0; ვიბორგი — ოლბორგი 0:2; კოპენჰაგენი — ჰორსენსი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 26 | 19 | 6 | 1 | 54:19 | 63 |
| მიდტიულანდი | 26 | 14 | 8 | 4 | 49:31 | 50 |
| ოდენსე | 26 | 13 | 7 | 6 | 36:27 | 46 |
| ოლბორგი | 26 | 13 | 6 | 7 | 40:29 | 45 |
| ნორდსიელანდი | 26 | 12 | 6 | 8 | 50:29 | 42 |
| ბრონდბიუ | 26 | 10 | 8 | 8 | 40:30 | 38 |
| რანდერსი | 26 | 8 | 7 | 11 | 31:39 | 31 |
| ესბიერგი | 26 | 7 | 9 | 10 | 36:39 | 30 |
| ჰორსენსი | 26 | 6 | 9 | 11 | 22:37 | 27 |
| ვიბორგი | 26 | 7 | 4 | 15 | 26:51 | 25 |
| სილკებორგი | 26 | 4 | 4 | 18 | 27:51 | 16 |
| ვაილე | 26 | 3 | 6 | 17 | 27:56 | 15 |

### I დივიზიონი. XX ტური

ბრაბრანდი — ჰელერუპი 3:1; ფრემადი — კოლდინგი 2:2; ლიუნგბიუ — ორჰუსი 4:2; ტისტედი — იოლსტიკე 2:2; ფრედერისია — ფრემი 2:0; ჰერფიოლგე — ფკ ორჰუსი 2:2; ნესტვედი — კიოგე 1:2; სიონდერისკე — აკადემისკი 0:1

## რუსეთი

### პრემიერლიგა. VI ტური

**როსტოვი 0:1 ყუბანი**

0:1 ლაიზანსი (68)

**ამკარი 3:3 ტომი**

0:1 სკობლიაკოვი (2), 1:1 კობენკო (6), 2:1 პოპოვი (15), 3:1 სავინი (26), 3:2 სერდიუკოვი (41), 3:3 კლიმოვი (45)

**სატურნი 1:0 რუბინი**

1:0 ჩესნაუსკისი (67)

**დინამო 2:1 ხიმკი**

0:1 ტიხონოვი (5), 1:1 კოლოდინი (52პ), 2:1 ტრივუნოვიჩი (77ს.კ.)

**ლუჩ-ენერგია 0:1 ზენიტი**

0:1 ზირიანოვი (81)

**მოსკვა 2:1 ცსკა**

1:0 ბარიენტოსი (28), 1:1 ვაგნერ ლავი (43), 2:1 სემაკი (48)

**სპარტაკი 1:0 კრილია**

1:0 ტორბინსკი (9)

**ნალჩიკი 0:0 ლოკომოტივი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| მოსკვა | 6 | 4 | 2 | 0 | 7:2 | 14 |
| ცსკა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| ზენიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ამკარი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 7 |
| ტომი | 6 | 1 | 4 | 1 | 9:9 | 7 |
| სატურნი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:6 | 7 |
| ლუჩ-ენერგია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | 7 |
| ყუბანი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| კრილია | 6 | 1 | 3 | 2 | 2:3 | 6 |
| ნალჩიკი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | 6 |
| როსტოვი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |
| ხიმკი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| რუბინი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. I ტური

ოულუ — ვიიკინგიტი 1:1; კტპ — ჰიკ 1:3; ვაასა — ტამპერე 1:1; ტურკუ — მარიეჰამნი 0:0; ლაჰტი — იაროო 1:4; ჰონკა — მიუპა 2:1. ჰაკა — ინტერი დღეს გაიმართება

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XXV ტური

დიოშდიორი — დებრეცენი 1:5; მტკ — ტატაბანია 4:0; დიორი — ვაცი 1:0; რეპკი — ვაშაში 1:3; ჰონვედი — ფეჰერვარი 1:1; შოპრონი — პეჩი 3:1; უიპეშტი — კაპოშვარი 0:0; ზალაეგერსეგი — პაკში 4:0

## სლოვენია

### პირველი ლიგა XXIX ტური

კოპერი — დრავა 1:2; ნაფტა — ნოვა გორიცა 2:0; დომჟალე — პუბლიკუმი 0:0; მარიბორი — ბელა კრაინა 2:1; პრიმორიე — ფაქტორი 3:2

## პოლონეთი

### I ლიგა. XXIII ტური

ლეგია — კორონა 3:0; კრაკოვია — გურნიკი 3:1; გროცლინი — ლოძი 2:0; ლეჩნა — პოგონი 3:2; ოდრა — პლოცკი 1:0; ზაგლებე — არკა 6:0; ბელხატოვი — ლეხი 0:0; ვიძევი — ვისლა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 23 | 14 | 4 | 5 | 48:22 | 46 |
| ზაგლებე | 23 | 13 | 7 | 3 | 40:22 | 46 |
| კორონა | 23 | 13 | 4 | 6 | 34:23 | 43 |
| ლეგია | 23 | 12 | 4 | 7 | 41:22 | 40 |
| ვისლა | 23 | 8 | 13 | 2 | 35:17 | 37 |
| ლოძი | 23 | 9 | 9 | 5 | 26:22 | 36 |
| კრაკოვია | 23 | 10 | 5 | 8 | 32:33 | 35 |
| ლეხი | 23 | 7 | 10 | 6 | 38:29 | 31 |
| გროცლინი | 23 | 5 | 14 | 4 | 24:21 | 29 |
| ოდრა | 23 | 5 | 9 | 9 | 18:30 | 24 |
| არკა | 21 | 4 | 10 | 7 | 22:29 | 22 |
| ვიძევი | 22 | 5 | 7 | 10 | 18:28 | 22 |
| გურნიკი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:39 | 20 |
| ლეჩნა | 21 | 5 | 5 | 11 | 17:42 | 20 |
| პოგონი | 23 | 3 | 7 | 13 | 19:33 | 16 |
| პლოცკი | 22 | 2 | 9 | 11 | 14:37 | 15 |

## რუმინეთი

### I ლიგა. XXVII ტური

პეტროლსანი — ნაციონალი 2:0; უნივერსიტატია — უნირია 0:0; არჯეში — გლორია 2:0; ვასლუი — კლუჟი 0:0; სტიაუა — პოლიტეხნიკა 1:0; არადი — ოცელული 1:1; პანდურიი — ფარული 1:0; ტიმიშოარა — ჩაპლაული 2:0; რაპიდი — დინამო 1:4

## იაპონია

### ჯეი ლიგა. VII ტური

ტოკიო — ფკ იოკოჰამა 1:0; იჩიჰარა — ომია 1:0; ნაგოია — კობე 2:0; ურავა — კავაზაკი 1:2; კოფუ — კაშივა 3:2; ჰიროშიმა — ნიიგატა 0:0; შიმიცუ — კაშიმა 1:2; იოკოჰამა — ოიტა 5:0; გამბა — ივატა 5:2

## სლოვაკეთი

### პირველი ლიგა

### კლეი ოფი. VII ტური

სენეცი — სლოვანი 1:1; ბანსკა ბისტრიცა — არტმედია 3:1; ნიტრა — კოშიცე 0:0; რუჟომბეროკი — ჟილინა 1:4

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XXIII ტური

მეტალურგი (ზ) — მეტალურგი (დ) 2:0; ჩერნომორეცი — ილიჩევეცი 2:1; კარპატი — ტავრია 0:2; ზარია — არსენალი 2:1; ხარკოვი — სტალი 0:0; კრივბასი — მეტალისტი 0:3; დინამო — ვორსკლა 1:1. შახტარი — დნეპრო დღეს გაიმართება

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XXX ტური

ალტახი — ზალცბურგი 0:2; აუსტრია — პაშინგი 2:0; მატერსბურგი — გრაცერი 5:1; რიდი — ტიროლი 2:1; შტურმი — რაპიდი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 30 | 20 | 7 | 3 | 62:17 | 67 |
| მატერსბურგი | 30 | 14 | 7 | 9 | 48:45 | 49 |
| რიდი | 30 | 10 | 11 | 9 | 36:34 | 41 |
| რაპიდი | 30 | 10 | 10 | 10 | 41:42 | 40 |
| პაშინგი | 30 | 10 | 9 | 11 | 33:33 | 39 |
| აუსტრია | 30 | 9 | 11 | 10 | 34:35 | 38 |
| ალტახი | 30 | 9 | 4 | 17 | 39:54 | 31 |
| ტიროლი | 30 | 7 | 9 | 14 | 31:47 | 30 |
| შტურმი | 30 | 12 | 5 | 13 | 32:36 | 28 |
| გრაცერი | 30 | 8 | 9 | 13 | 40:53 | 5 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*

*გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა*

### I დივიზიონი. XXVI ტური

აუსტრია (ლ) — კაპფენბერგი 2:2; აუსტრია (მ) — გრატკორნი 2:1; ჰარტბერგი — შვანენშტადტი 2:3; ლინცერი — ადმირა 1:0; ლეობენი — ლუსტენაუ 3:1; პარნდორფი — კერნტენი 0:0

## სერბეთი

### სუპერლიგა. პლეი ოფი. IV ტური

ბეჟანიჯა — ჰაიდუკი 1:0; ცრვენა ზვეზდა — მლადოსტი 2:1; პარტიზანი — ვოივოდინა 1:0

# გერმანია

## ბუნდესლიგა
## XXX ტური

### შალკე 2:0 კოტბუსი

1:0 როსტი (59ს.კ.), 2:0 ბორდონი (64)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი, პანდერი (ბაირამოვიჩი 87), ფ. ერნსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ლინკოლნი, ასამოა (ჰალილ ალტინტოპი 67), იოზილი (კობიაშვილი 73), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, მაკკენა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ტ. როსტი, კუკიელკა, ბაუმგარტი (გუნკელი 74), მუნტიანუ, რადუ (შკელა 69), კიოიო (შაო 69)
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
გაფრთხილება: ლინკოლნი, ბაუმგარტი, იოზილი, კიოიო, და სილვა, მუნტიანუ
მსაჯი: გრეფე
61 482 მაყურებელი

### ვერდერი 3:1 ალემანია

0:1 პინტო (2), 1:1 იენსენი (50), 2:1 როზენბერგი (55), 3:1 დიეგო (90)
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, პასანენი, ნალდო, ოვომოიელა, ბაუმანი (დ. იენსენი 46), ვრანიეში (როზენბერგი 46), ფრინგსი, დიეგო, კლოზე, ჰანტი (უგო ალმეიდა 90)
მწვრთნელი: თომას შააფი
ალემანია: ნიხტი, შტელე (კვოტშალა 90), კლიცპერა, ნ. ჰერციგი, ლეივაკაბესი, მ. ლემანი, ჰაიდრიხი (დუმი 62), ფაილი, ს. პინტო, შლაუდრაფი, ებერსი (კასპერი 81)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: ფრინგსი, შტელე, ჰანტი, ლემანი
მსაჯი: ფლაიშერი
40 300 მაყურებელი

### შტუტგარტი 2:0 ბაიერნი

1:0, 2:0 კაკაუ (23, 25)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო, ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ხედირა, ჰიცლშპერგერი, ჰილბერტი (ბეკი 77), ლაუტი (და სილვა 61), კაკაუ (შტრელერი 86)
მწვრთნელი: არმინ ფეე
ბაიერნი: კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი (ქარიმი 84), სანტა კრუზი (გიორლიცი 73), მაკაი, პოდოლსკი (კ. პიზარო 46)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კანი, პოდოლსკი, ვან ბომელი
მსაჯი: მერკი
57 400 მაყურებელი

### ლევერკუზენი 2:0 ნიურნბერგი

1:0, 2:0 შნაიდერი (20, 59)
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, შტენმანი, შვეგლერი, როლფსი, ბ. შნაიდერი (ბარბარესი 85), კისლინგი (ფრაიერი 62), ვორონინი, ბარნეტა
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
ნიურნბერგი: რ. შეფერი, ბუჩამპი, ა. ვოლფი, გლაუბერი (სპირანოვიჩი 58), პინოლა, პოლაკი, გალაშეკი, ენგელჰარდტი (ბანოვიჩი 58), პაგენბურგი (სიბონი 63), შროტი, საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: კისლინგი, ვოლფი, ვორონინი, გალაშეკი
მსაჯი: დრეესი
22 500 მაყურებელი

### ჰერტა 0:1 დორტმუნდი

0:1 ბრჟენსკა (50)
ჰერტა: ფიდლერი, შიმუნიჩი, ვან ბურიკი (ჟ. ბოატენგი 74), ფატი, დარდაი, მინეირო, დეჯაგა (ედე 74), ბაშთურქი, ჟილბერტო, პანტელიჩი (ებერტი 46), კ. ხიმენესი
მწვრთნელი: კარსტენ ჰაინე
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ფ. დეკენი, ბრჟენსკა, ვიორნსი, კ. მეცელდერი, კრუშკა, კრინგე, ტინგა (გორდონი 89), პიენაარი (ნ. საჰინი 85), შმოლარეკი, ფრაი (ნ. ვალდესი 90)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: მინეირო, კრუშკა
მსაჯი: შიპელი
64 382 მაყურებელი

### ჰამბურგი 2:2 მაინცი

0:1 ზიდანი (12), 1:1 სორინი (23პ), 1:2 გერბერი (59), 2:2 გერერო (83)
ჰამბურგი: ფ. როსტი, ბენჯამინი, აბელი, მატიისენი, სორინი, იაროლიმი, ვიკი (ატუბა 71), მაჰდავიკია, ტროხოვსკი (გერერო 67), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი (სანოგო 82)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, გიუნეში, როზე, პეკოვიჩი, ფ. გერბერი, ლ. ანდრეასენი, დ. ვრანჩიჩი (იოვანოვიჩი 73), სოტო, ზიდანი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ბენჯამინი, ვრანჩიჩი, მაჰდავიკია, ანდრეასენი
მსაჯი: ფანდელი
57 000 მაყურებელი

### ჰანოვერი 1:0 გლადბახი

1:0 ბრუგინკი (32)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ზურავი, ტარნატი, ბალიტჩი, იანკოვი (შრიოტერი 74), როზენტალი, ბრუგინკი, ჰუშტი (იენდრიშეკი 90), ჰაშემიანი (შტაინერი 82)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გლადბახი: ჰაიმეროტი, ბოგელუნდი, ბ. სვენსონი, გოჰური, კომპერი, ელ ფაკირი (ლამიდი 68), კლუგე, დელურა (სვარდი 46), ინსუა, მ. იანსენი, რაფაელი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
გაფრთხილება: ჰაშემიანი, ელ ფაკირი, ბალიტჩი, კომპერი, იანსენი, გოჰური
მსაჯი: ბრიხი
42 000 მაყურებელი

### აინტრახტი 0:3 ბოხუმი

0:1 გეკასი (32), 0:2, 0:3 ეპალე (58, 69)
აინტრახტი: ნიკოლოვი, რემერი (რუსი 67), კირიაკოსი, ვასოსკი, შპიხერი, ჰუგელი (მ. ჰელერი 46), ვაისენბერგერი, მ. ფინკი, ა. მეიერი, ტაკაჰარა, ამანატიდისი (ტურკი 23)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ბოხუმი: დრობნი, ო. შრიოდერი, მალტრიცი, იაია, ბუტჩერი, დაბროვსკი (დრშეკი 87), ცდებელი, მისიმოვიჩი (იმჰოფი 87), გროტე, ეპალე, გეკასი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ჰუგელი, გროტე
მსაჯი: რაფატი
47 962 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 2:3 არმინია

0:1 ვესტერმანი (8), 1:1 მარსელინიო (16), 2:1 ბოაკიე (53), 2:2 აიგლერი (72), 2:3 ვიშნიარეკი (86)
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი, ვან დერ ლეიგტე, შარპი, კრჟინოვეკი, მარსელინიო (კარჰანი 72), მაკიადი, ბოაკიე
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
არმინია: ჰაინი (მ. ციგლერი 46), ბოლმანი, ვესტერმანი, კუჩერა, რაუ, კაუფი, ტესკე, ბიომე (ტ. მარქსი 56), მასმანიდისი (ვიშნიარეკი 72), აიგლერი, ზუმა
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
გაფრთხილება: ვან დერ ლეიგტე, მასმანიდისი, მაკიადი, ჰოფლანდი
მსაჯი: კირხერი
20 941 მაყურებელი



AFP
გერმანია ახალ ჩემპიონს ელის: გელზენკირხენელთა აზრით, ეს „შალკე 04“-ია!

# კაკაუ: ბაიერნი შორს ჩემპიონთა ლიგისგან!

**საშინელება** უწოდა ოტმარ ჰიცფელდმა თავისი გუნდის თამაშს. „ბაიერნმა“ მესამე ადგილისთვის პრინციპული ბრძოლა წააგო „შტუტგარტთან“ და ბუნდესლიგის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ისეთი პირი უჩანს, რომ მიუნხენურ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გაუჭირდება. ლიგის გარეშე კი „ბაიერნი“ 1997 წლის შემდეგ არ დარჩენილა.

„შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები გვქონდა, მაგრამ ასეთი უსუსურობა მაინც არ გვეკადრება“ — თქვა ჰიცფელდმა, რომელმაც მატჩამდე მეტოქის ფანები განცხადებით გააბრაზა: „რაც უნდა მოხდეს, „შტუტგარტს“ მესამე ადგილიდან ჩამოვაგდებთ“.

ვერ ჩამოაგდეს, მწვრთნელი კი ნამატჩევს სხვანაირად ლაპარაკობდა: „შემოქმედებითი უნარი გვაკლია, თუმც ამ გუნდისგან მეტს ველი და მეტის გამოწურვა შეიძლება. ფეხბურთელები გულიანად არ იბრძვიან. მეოთხე ადგილი ჩვენთვის არაფერია, „ბაიერნი“ მუდამ პირველობისთვის უნდა იბრძოდეს და რაკი პირველები ვერ ვხდებით, მოტივაციის ნაკლებობაც ამის ბრალია“.

კაპიტანი ოლივერ კანი თამაშამდე თანაგუნდელებისგან 100 პროცენტით დახარჯვას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ.

„პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. არქივის ამოქექვა დაგვჭირდება იმის გასარკვევად, თუ როდის გვქონდა მსგავსი საზიზღარი ტაიმი. გაგვიტანეს თუ არა პირველი გოლი, ჩემი თანაგუნდელები უმალ დაიბნენ. ყველამ თავი დახარა და რატომღაც დანებდნენ“ — ბრაზობდა ოლივერ კანი.

„შტუტგარტმა“ კი საუცხოო პირველი ტაიმი „გამოაცხო“. ბრაზილიელმა კაკაუმ ორ წუთში დუბლი შეასრულა — კრისტიან ლელის თავით მოგერიებულ ბურთს თავი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა, შემდეგ კი ხედირას პასით ახლოდან გაუტანა კანს. კაკაუს მესამის შეგდებაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმში ლუკას პოდოლსკის ნაცვლად შესულმა კლაუდიო პიზარომ ცოტა გამოაცოცხლა „ბაიერნის“ შეტევები, მაგრამ რად გინდა, უკვე გვიან იყო.

„შალკე“ ნელ-ნელა მიიპარება ჩემპიონობისკენ და სულაც არ დაბნეულა იმის გამო, რომ პარასკევს „ვერდერმა“ „ალემანიასთან“ გამარჯვებით გადაასწრო. „ხუმარებმა“ შესვენებამდე ვერ გაუტანეს „კოტბუსს“, თუმც ტაიმის მიწურულს გუსტავო ვარელას წაქცევისთვის მსაჯმა ნაღდი პენალტი არ უბოძა. მეორე ნახევარი კოტბუსელებმა ყოჩაღად დაიწყეს და მასპინძელთა კარის ძელი ტიმო როსტის დარტყმის შემდეგ შეტოკდა. ამან გამოაფხიზლა „შალკე“ და მალე დაწინაურდა კიდეც. ჰამიტ ალტინტოპის ჩაწოდებული ბურთისკენ ლინკოლნს გზა როსტმა გადაუღობა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ოთხი წუთის მერე კი ლინკოლნის კუთხურს მარსელო ბორდონის თავური და მეორე გოლი მოჰყვა.

„ვერდერმა“ მე-2 წუთზე გაუშვა „ალემანიასგან“, მაგრამ მეორე ნახევრის დაწყებისთანავე დანიელ იენსენმა და როზენბერგმა „მუსიკოსები“ დააწინაურეს. მატჩის ბოლოს დიეგომ კოხტა გოლი გაიტანა დაახლოებით 70 მეტრიდან. „ალემანიას“ მეკარე მეტოქის კართან იყო ჩასული, ეგებ ნაკუთხურალზე ვიხეირო და გავათანაბროო, მაგრამ საკუთარ კარში დაბრუნება ველარ მოასწრო და დიეგომ დასაჯა — შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი „ალემანიას“ კარის ხაზის წინ დაეცა, ხარიხას მოხვდა და ბადეში ჩაეშვა.

უეფას თასიდან გავარდნილმა „ლევერკუზენმა“ საშინაო საქმეების მოსაგვარებლად მოიცალა და „ნიურნბერგს“ მეხუთე ადგილი წაართვა. ანდრეი ვორონინის გრძელი პასით ბერნდ შნაიდერი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და მარჯვენა ფეხით გაიტანა, მეორე ტაიმში კი მანვე ბარნეტას პასი შეირგო და „ნიურნბერგის“ გოლკიპერს თავზე გადაავლო ბურთი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 30 | 19 | 5 | 6 | 49:27 | 62 |
| ვერდერი | 30 | 18 | 6 | 6 | 57:34 | 60 |
| შტუტგარტი | 30 | 17 | 7 | 6 | 54:34 | 58 |
| ბაიერნი | 30 | 16 | 5 | 9 | 45:35 | 53 |
| ლევერკუზენი | 30 | 13 | 6 | 11 | 47:43 | 45 |
| ნიურნბერგი | 30 | 10 | 14 | 6 | 39:28 | 44 |
| ჰერტა | 30 | 10 | 8 | 12 | 41:47 | 38 |
| კოტბუსი | 30 | 10 | 8 | 12 | 35:41 | 38 |
| ჰანოვერი | 30 | 10 | 8 | 12 | 36:43 | 38 |
| ჰამბურგი | 30 | 7 | 15 | 8 | 35:33 | 36 |
| ბოხუმი | 30 | 10 | 6 | 14 | 40:46 | 36 |
| ვოლფსბურგი | 30 | 8 | 11 | 11 | 34:38 | 35 |
| დორტმუნდი | 30 | 9 | 8 | 13 | 34:41 | 35 |
| აინტრახტი | 30 | 7 | 13 | 10 | 39:53 | 34 |
| არმინია | 30 | 8 | 9 | 13 | 38:43 | 33 |
| ალემანია | 30 | 9 | 6 | 15 | 44:56 | 33 |
| მაინცი | 30 | 7 | 10 | 13 | 28:48 | 31 |
| გლადბახი | 30 | 6 | 7 | 17 | 22:37 | 25 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გეკასი (ბოხუმი) | 18 |
| მაკაი (ბაიერნი) | 14 |
| გომესი (შტუტგარტი) | 13 |
| ფრაი (დორტმუნდი) | 13 |
| კურანი (შალკე) | 13 |
| კლოზე (ვერდერი) | 12 |
| დიეგო (ვერდერი) | 12 |
| რადუ (კოტბუსი) | 12 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 12 |
| ზიდანი (მაინცი) | 12 |

### XXXI ტური
28 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ალემანია | : | ჰერტა |
| გლადბახი | : | შტუტგარტი |
| მაინცი | : | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | : | აინტრახტი |
| ნიურნბერგი | : | ვოლფსბურგი |
| არმინია | : | ვერდერი |
| ბაიერნი | : | ჰამბურგი |
| ბოხუმი | : | შალკე |
| კოტბუსი | : | ლევერკუზენი |

## მეორე ბუნდესლიგა
### XXX ტური

აუე — ესენი 0:0; კაიზერსლაუტერნი — ოფენბახი 4:0; მიუნხენი — კიოლნი 3:1; ბურგჰაუზენი — აუგსბურგი 0:2; დუისბურგი — ბრაუნშვაიგი 0:0; ფრაიბურგი — კარლ ცაისი 1:3; ფიურტი — პადერბორნი 3:0; უნტერჰახინგი — კობლენცი 1:0. ჰანზა — კარლსრუე დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 29 | 18 | 6 | 5 | 61:34 | 60 |
| ჰანზა | 29 | 14 | 13 | 2 | 43:23 | 55 |
| დუისბურგი | 30 | 14 | 11 | 5 | 56:34 | 53 |
| ფიურტი | 30 | 15 | 6 | 9 | 49:33 | 51 |
| ფრაიბურგი | 30 | 14 | 9 | 7 | 47:36 | 51 |
| ლაუტერნი | 30 | 13 | 11 | 6 | 42:27 | 50 |
| აუგსბურგი | 30 | 12 | 9 | 9 | 37:27 | 45 |
| მიუნხენი | 30 | 13 | 5 | 12 | 42:43 | 44 |
| აუე | 30 | 13 | 4 | 13 | 41:41 | 43 |
| კიოლნი | 30 | 11 | 8 | 11 | 42:43 | 41 |
| პადერბორნი | 30 | 9 | 9 | 12 | 29:33 | 36 |
| ოფენბახი | 30 | 9 | 6 | 15 | 36:52 | 33 |
| კობლენცი | 30 | 8 | 8 | 14 | 29:41 | 32 |
| უნტერჰახინგი | 30 | 8 | 8 | 14 | 30:43 | 32 |
| კარლ ცაისი | 30 | 8 | 8 | 14 | 33:50 | 32 |
| ესენი | 30 | 7 | 9 | 14 | 31:36 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 30 | 6 | 9 | 15 | 34:57 | 27 |
| ბრაუნშვაიგი | 30 | 3 | 9 | 18 | 15:44 | 18 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXXI ტური

ვუპერტალი — ლიუბეკი 1:1; მაგდებურგი — ვერდერი (მ) 2:0; ალენი — ემდენი 1:1; დინამო — ჰერტა (მ) 2:0; დიუსელდორფი — ვილჰელმშავენი 1:1; კილი — ჰამბურგი (მ) 1:0; მიონხენგლადბახი (მ) — ზანქტ პაული 1:5; ოსნაბრიუკი — ლევერკუზენი (მ) 3:3; ერფურტი — უნიონი 1:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა
### XXVIII ტური

ელვერსბერგი — დარმშტადტი 2:0; აალენი — ინგოლშტადტი 0:1; მიუნხენი (მ) — ზიგენი 3:0; ჰესენი — ზაარბრიუკენი 3:0; ჰოფენჰაიმი — პფულენდორფი 3:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ბაიერნი (მ) 2:3; კარლსრუე (მ) — შტუტგარტი (მ) 1:1; ვეჰენი — როიტლინგენი 0:0; კიკერსი — პირმასენსი 0:0

## იტალია
### სერია A
### XXXIII ტური

**მილანი 3:1 კალიარი**

1:0, 2:0 რონალდო (14, 69), 2:1 სუაზო (74პ), 3:1 პირლო (80)

**მილანი:** კალაჩი, კაფუ, შიმიჩი, კალაძე, ფავალი, გატუზო (ამბროზინი 67), ბროკი, გურკუფი (იანკულოვსკი 81), ზეედორფი (პირლო 67), რონალდო, რ. ოლივეირა

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**კალიარი:** კიმენტი, ფ. პიზანო (სემედო 89), კანინი, დ. ლოპესი, დელ გროსო, მარკინი (პეპე 76), ბუდელი, კონტი, ა. დაგოსტინო (ლანჯელა 67), კაპონე, სუაზო

მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო

გაფრთხილება: ლოპესი, კონტი, პიზანო, კალაძე, კალაძე

გაძევება: კალაძე (86)

მსაჯი: ბერგონცი

43 728 მაყურებელი

**სიენა 1:2 ინტერი**

0:1 მატერაცი (18), 1:1 ნეგრო (21), 1:2 მატერაცი (60)

**სიენა:** მანინგერი, ნეგრო, რინაუდო, გასტალდელო, ა. როხი, ალბერტო (ფრიკი 66), ვერგასოლა, ერიომენკო, გალოპა (ანტონინი 76), კორვია, კოზა (კოცა 80)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ბურდისო (მაქსველი 51), სტანკოვიჩი, კამბიასო, ხ. ძანეტი, სოლარი (რეკობა 61), იბრაჰიმოვიჩი (დაკური 70), ხ. კრუზი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ბურდისო, მანინგერი, მატერაცი, ვერგასოლა

მსაჯი: აიროლდი

15 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:1 რომა**

1:0 კ. დონი (37), 2:0 ძამპანა (44), 2:1 პეროტა (61)

**ატალანტა:** კალდერონი, რივალტა, ტალამონტი, კაროციერი, ადრიანუ, არიატი, დონატი (ტისონე 78), ფერეირა პინტუ, მოლიაჩო, კ. დონი (დეფენდი 85), ძამპანა (ვიერი 60)

მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო

**რომა:** ა. დონი, პანუჩი (კასეტი 69), მ. ფერარი, კიჟუ, ტონეტო (ოკაკა ჩუკა 86), დე როსი, პეროტა, ვილჰელმსონი (როზი 75), ტადეი, ტავანო, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ტალამონტი, კ. დონი, ძამპანა, ტონეტო, პანუჩი, ვუჩინიჩი, კასეტი

გაძევება: ფერარი (90)

მსაჯი: როზეტი

18 000 მაყურებელი

**ლაციო 0:1 ფიორენტინა**

0:1 მუტუ (71)

**ლაციო:** პერუცი, სივილია, დიაკიტე, ბონეტო, ბელერი (დე სილვესტრი 78), მუტარელი, ლედესმა, კ. მანფრედინი (ტარე 83), ლ. ხიმენესი (პანდევი 74), მაკინვა, როკი

მწვრთნელი: დელიო როსი

**ფიორენტინა:** ფრეი, პოტენცა, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, ლივერანი (ბლაზი 76), მონტოლივო, პაზიენცა, იორგენსენი, ტონი (პაცინი 63), მუტუ (რეგინალდო 80)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: მონტოლივო, ტონი, მუტარელი, როკი, პაცინი, რეგინალდო

მსაჯი: საკანი

35 000 მაყურებელი

**პალერმო 3:4 პარმა**

0:1 ბუდანი (25), 1:1 ბრეშიანო (36), 2:1 დი მიკელე (45), 2:2 კოუტუ (47), 2:3 გასბარონი (71), 2:4 როსი (80), 3:4 ძაკარდო (90)

**პალერმო:** ა. ფონტანა, კასანი, ძაკარდო, ბარძალი, მ. პიზანო, სიმპლისიო, გუანა, კავანი (ბრიენცა 76), დი მიკელე (ბიავა 62), ბრეშიანო, კარაჩოლო

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

**პარმა:** ბუჩი, ფ. კოლი, ფ. კოუტუ, კონტინი, პ. კასტელინი, დესენა, ჩიგარინი, მუსლიმოვიჩი (გასბარონი 71), პარავიჩინი (გრელა 67), ბუდანი (მორფეო 54), ჯ. როსი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: ძაკარდო, კოუტუ, სიმპლისიო, დესენა, გუანა, კავანი

გაძევება: პიზანო (58)

მსაჯი: როკი

32 000 მაყურებელი

AFP

**ემპოლი 0:0 ტორინო**

**ემპოლი:** ბასი, რაჯი, პრატალი (მარცორატი 61), ლუკინი (ასკოლი 75), ვანილი, ალმირონი, ბუში, დ. მორო, ვანუკი, პოცი, საუდატი (მარიანინი 70)

მწვრთნელი: ლუიჯი კანი

**ტორინო:** აბიატი, კომოტო, ბალესტრი, ბრევი, კოკო (მარტინელი 59), ი. ფრანჩესკინი, ბარონე (მუცი 84), დე აშენტისი, ლაზეტიჩი, აბრუსკატო (სტელონე 46), როზინა

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: ბარონე, პრატალი, მორო, სტელონე

მსაჯი: დონდარინი

12 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:1 უდინეზე**

0:1 მუნტარი (26), 1:1 ამორუზო (85)

**რეჯინა:** კამპანოლო, ლანძარო, არონიკა, ა. ლუკარელი, მოდესტო (ფოჯა 39), ამერინი (ტონოცი 50), მესტო, ჯაკომო ტედესკო, ვიჯანი (გაცი 72), ნ. ამორუზო, ბიანკი

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

